სპორტიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 1 ივლისი 2004 №149 (2170) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

2:1



REUTERS ლოსანჯელესიდან



REUTERS ლოსანჯელესიდან

პორტუგალია საბოლოოს კარებთან

ლუიშ ფელიპე სკოლარი

ძალიან ბევრი ვინერვიულეთ და როცა თამაში გათავდა, ნერვიულობაც გათავდა. ჩვენ მოვიგეთ, რადგან ნაკრების უკან ფანტასტიკური გულშემატკივრები დგანან

პორტუგალია 2 — ჰოლანდია 1

30 ივნისი
ნახევარფინალი
ლისაბონი. ჟოზე ალვალადე

1:0 რონალდო (26), 2:0 მანიშე (58), 2:1 ჟორჟე ანდრადე (63წ.ჯ.)

1 რიკარდუ
4 ჟორჟე ანდრადე, 16 რ. კარვალიუ
13 მიგელი, 14 ნუნუ ვალენტე
18 მანიშე, 6 კოშტინია
7 ფიგუ, 20 დეკო, 17 კ. რონალდო
9 პაულეტა

მწვრთნელი: ლუიშ ფელიპე სკოლარი

შეცვლა
რონალდო — 8 პეტიტი (68), პაულეტა — 21 ნუნუ გომეში (75), მანიშე — 5 ფ. კოუტუ (87)

1 ვან დერ სარი
3 სტამი, 4 ბუმა
2 რაიციგერი, 5 ვან ბრონკჰორსტი
6 კოკუ
20 ზეედორფი, 8 დავიდსი
16 ოვერმარსი, 19 რობენი
10 ვან ნისტელროი

მწვრთნელი: დიკ ადვოკაატი

შეცვლა
ოვერმარსი — 12 მაკაი (46), ბუმა — 11 ვან დერ ვაარტი (56), რობენი — 17 ვან ჰოიდონკი (81)

გაფრთხილება: რონალდო (27), ოვერმარსი (39), ნუნუ ვალენტე (44), რობენი (71), ფიგუ (89)
მსაჯი: ანდრეს ფრისკი (შვედეთი). 46 679 მაყურებელი

ჯარიმა: 22-21; კუთხური: 9-2; კარისკენ დარტყმა: 2-6; კარში დარტყმა: 12-2; თამაშგარე: 5-3



დიკ ადვოკაატი

ნაკრებში ჩემს მუშაობას უამრავი კრიტიკოსი ჰყავს. როცა ხალხი გამუდმებით გლანძღავს და შეტევების მოგერიება გიხდება, ნორმალურად ვერ იმუშავებ

ლუიშ, ერთიც!

Euro 2004 PORTUGAL
გიორგი დარჯანია

1988 წელს ჰოლანდია ევროპის ჩემპიონი რომ გახდა, მაშინ ჯგუფში პირველი მატჩი წააგო, მერე კი აიშვა და ვერავინ შეაჩერა.

ამ ევროპის ჩემპიონატზე პორტუგალიამაც წააგო პირველი თამაში და მისი შეჩერების შანსი ერთადერთ გუნდსღა დარჩა. იმას, ვინც [illegible]ოლევანდელ ნახევარფინალს მი[illegible]

[illegible]ტუგალია აქამდე ორჯერ გა[illegible]ახევარფინალში და ორივე[illegible]ამარცხდა, ოცი წლის წინ [illegible]ინა ჩემპიონატზე. ჰოლანდია[illegible]ს კი ნახევარფინალი რაღაც [illegible]ყველილ ეტაპად არის ქცეუ[illegible], რაკი უკვე მეოთხედ შეწყვი[illegible]ა ბრძოლა ამ ეტაპზე.

[illegible]თუ გუშინდელი თამაშის ნაღდ საგოლე მომენტებს გავიხსენებთ, ჰოლანდიელებს ასეთი მხოლოდ ერთი ჰქონდათ, პირველ ტაიმში, როცა ედგარ დავიდსის დარტყმული ბურთი ვან ნისტელროის მოხვდა და მარკ ოვერმარსს ფეხზე დააჯდა. კარამდე შორი არ იყო და ოვერმარსს არც არავინ უშლიდა ხელს, დარტყმა კი არ გამოუვიდა, ხარიხას გადააცილა.

ჰოლანდიელთა სახიფათო მომენტებს შეგვიძლია მივათვალოთ მეორე ტაიმის ერთი მომენტიც, როცა კლარენს ზეედორფის ჩაწოდებულს ვერც ვან ბრონკჰორსტმა და ვერც ვან ნისტელროიმ ვერ წაჰკრეს თავი ან ფეხი.

მეტი გამოსარჩევი მომენტი ჰოლანდიას არ ჰქონია და ის ერთი გოლიც ჩემპიონატის მასპინძლებმა აჩუქეს — ვან ბრონკჰორსტის საჯარიმოში ჩაგდებულ ბურთს ჟორჟე ანდრადემ უხეიროდ დაუხვედრა ფეხი და თავისსავე მეკარეს თავზე გადაუგდო.

ამ დროისთვის პორტუგალია ორი ბურთით იგებდა და ეს ავტოგოლი რომ არა, დარჩენილ დროში თამაშს ვინძლო, დაძაბულობა და სიხალისე მოაკლდებოდა.

ანგარიში კრისტიანო რონალდომ გახსნა თავურით, რომელიც დეკოს ჩაწოდებულ კუთხურს მიაყოლა, მეორე გოლი კი, ჩემპიონატზე ულამაზესთაგანი მანიშემ შეაგდო. ოციოდე მეტრიდან, საჯარიმოს კიდესთან მყოფმა შორეულ კუთხეში ჩააჭედა.

პორტუგალიას სხვა კარგი მომენტებიც ჰქონდა და თუ მეტი გოლი ვერ გაიტანა, პაულეტას უნდა დაბრალდეს. ეს ფეხბურთელი თითქოს იმიტომ იყო მოედანზე, რომ ედვინ ვან დერ სარის კარგი მეკარეობა დაემტკიცებინა. მან ორჯერ უაღრესად ხელსაყრელი პოზიციიდან მაინცდამაინც ვან დერ სარს დაუმიზნა.

კიდევ უნდა აღვნიშნოთ, რომ ლუიშ ფიგუ სრულებით არ ჰგავდა იმ ფიგუს, ინგლისთან მეოთხედფინალი რომ ჩაგდო. პასებსაც ზუსტად იძლეოდა და ერთხელ ძელსაც გაარტყა. ამასთანავე, ეს ფიგუს 109-ე სანაკრებო მატჩი იყო, რითაც პორტუგალიელთა რეკორდსმენის, ფერნანდო კოუტუს შედეგი გაიმეორა, თუმცა ბოლო წუთებზე შესულმა კოუტუმ ერთპიროვნული რეკორდსმენობა ისევ დაიბრუნა.

ნამატჩევს რუუდ ვან ნისტელროიმ, რომელიც მთელი მატჩი იმის მცდელობაში იყო, როგორმე საჯარიმოში წაქცეულიყო, თქვა: „პირდაპირ გასაოგნებელია, როგორ იღებდა მსაჯი გადაწყვეტილებებს ყოველთვის პორტუგალიელთა სასარგებლოდ.“

ცხადია, ლუიშ ფიგუს მსაჯის საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა და სიხარულის გამოსახატავად სიტყვებს ვერ პოულობდა: „არ შემიძლია იმის აღწერა, თუ რას ვგრძნობ ახლა. ჩემპიონატში, რომელიც შენს სამშობლოში ტარდება და ფინალში გახვალ, ამაზე მეტს ვერაფერს ისურვებ.“

თუმცა რატომ ვერ ისურვებ — შეგიძლია, ფინალის მოგება ისურვო.



REUTERS ლისაბონიდან

REUTERS ლისაბონიდან



გიო ახვლედიანი
პორტუგალიიდან

ყველაფერი გულშემატკივრისთვის
SERVEJA, SERVEJA, SERVEJA



წავიდა და წავიდა ბოლოსკენ, თან მთელი ამბით და გვარიანი სიგიჟით ევროპის ჩემპიონატი, ამის მობრუნება აღარ იქნება. თითქოს ბოლოს მოახლოვება ცის საამინდო სამსახურმაც იგრძნო და ნახევარფინალებისთვის ერთგვარი სიგრილე გამოიმეტა, აჰა, ამოისუნთქეთ, მორბენალო ბიჭებო. ეს ლიბერალური ამინდი კი კიდევ უფრო აძლიერებს უფეხბურთობით, ჩემპიონატზე ფეხბურთის გაიშვიათებით და, ფაქტობრივად მომთავრებით გამოწვეულ კაეშანს.

მართლაც ძალიან ძნელია, როცა ყოველდღე სტადიონზე სიარულს დაჩვეული კაცი აღმოაჩენს, რომ დღეს უქმე აქვს. დღეს კი არა, ხვალაც და ზეგ საღამომდე უნდა ელოდოს თამაშს, აქ თამაშის მნიშვნელობა სულაც არ მოქმედებს, აქაოდა ნახევარფინალიაო და ზღაპრული და მაგარი რამე გაბოვიდაო. აქ მთავარი ნამდვილი და ხარისხიანი ფეხბურთია. ჩვენ ვაკრიტიკებთ ჩემპიონატიდან ადრევე გავარდნილ დიდი ქვეყნების ნაკრებებს, მაგრამ მათი ცქერა მაინც სასიამოვნო და საინტერესო იყო. გერმანია — ჰოლანდია ცუდ თამაშად ჩაითვალა, საინტერესო კი იყო. საერთოდ კი, უვარგისი თამაში აქ ცოტა გამოვიდა. თვით ლატვიასაც კი ორჯერ ვუცქირე სტადიონზე და ღირდა ცქერად.

ამიტომ, ფეხბურთს რომ დაეჩვევი, მერე გადაჩვევა ძნელი ყოფილა.

ქუჩებიც როგორღაც მიწყნარდა, ჯერ კიდევ გასული კვირა საღამოდან. გულშემატკივართა ლაშქრები დაცოტავდა, ხმა ჩაწყდა და ქალაქებში სიმშვიდემ დაისადგურა. გულშემატკივარი, ჩამოსული კაცი ლამის არის და მთავარი ფიგურაა დიდ ტურნირებზე. აქ ყველაფერი მისთვის კეთდება, ამიტომაც არავის სწყინს, როცა მავანი ჰოლანდიელი ფანი მიკროფონში უცხადებს მთელ პორტუგალიას, თქვენებურად სამი მთავარი სიტყვა ვიციო და მერე ომახიანად დასძახებს ამ სამ სიტყვას: **SERVEJA, SERVEJA, SERVEJA!** ანუ, ლუდი, ლუდი, ლუდიო.

რაც ამ სამ კვირაში პორტუგალიის ჩვეულებრივ, არასაკურორტო ქალაქებში ლუდი დაილია და სოსისი და შემწვარი კარტოფილი შეიჭამა, იმის დათვლა ძალიან შორს წაგვიყვანდა. რაც ამ დროში სასტუმროებმა ხეირი ნახეს თავიანთი გაორმაგებული ფასებით, იმის დათვლა აქაურ სტატისტიკურ ბიუროებს დიახაც, გამოადგებათ. რაც აქაური მატარებლების ვაგონებში ხდებოდა, ხომ საერთოდაც გეგმის ათგზის გადაჭარბებას ნიშნავს პორტუგალიის რკინიგზისთვის. თვით უბრალო ჰოსტელებში, რეზიდენციალებში და ჰოსპიდარიებშიც კი არ იყო ადგილები, არათუ ჩვეულებრივ, თუნდაც ორვარსკვლავიან სასტუმროებში. ვერ დავთვლით გაყიდული მაისურების, შარფების, ქუდების, თავსაფრებისა და დროშების ოდენობასაც. საერთოდ, ჩვენ ვერ დავთვლით, თორემ პორტუგალიის მთავრობამ კი უნდა დათვალოს, იცოცხლე. მოდი და, ამის შემდეგ ნუ იტყვი, რომ გულშემატკივარი მთავარი არ არის. ვერც უეფას გაამტყუნებ, რომელიც ცდილობს, რომ არაჩვეულებრივ სახვევებში შეფუთოს თამაშები, მათ მეტად მომხიბლველი იერი მიანიჭოს და ამით კიდევ უფრო გაზარდოს ინტერესი, ვინაიდან, თამაშები კი კარგი იყო, მაგრამ გუნდების უმრავლესობა მოქანცული, დაბნეული და აჭრილიც ჩანდა. ასეთ ვითარებაში შეფუთვა აუცილებელია და შეფუთვაც ამართლებს. „კარლსბერგი“ და „კოკა კოლა“ დიახაც რომ მშვენიერი საფუთია, „კარლსბერგი“ ლუდს ყიდის თამაშებზე, „კოკა კოლა“ თავის გამაგრილებლებს. „მაკდონალდსი“ გიჟივით ვაჭრობს და „ჰუნდაის“ ავტობუსები ფეხბურთელებს და ოფიციალებს დაატარებენ.

გულშემატკივართა ოდენობა კი ულევია და ხშირად უცნაურიც. ეს ალბათ განსაკუთრებით შეიგრძნობა პატარა ქვეყანაში, თანაც ისეთ წყნარ და გემრიელ ქვეყანაში, როგორიც პორტუგალიაა. მაგალითად, მე რამდენჯერმე გადავაწყდი სამ კაბოსან შოტლანდიელს, რომლებიც არავის ქომაგობდნენ და დადიოდნენ თამაშებზე სულ ნაირგვარ ქალაქებში. იმდენჯერ გადავაწყდი, რომ ბოლოს გამოველაპარაკე კიდეც. ედინბურგელები იყვნენ, „ჰიბერნიანის“ ფანები, დავდივართ, ვუყურებთ კაი ფეხბურთსო, მზესაც ვეფიცხებით და საერთოდაც, ცხოვრებაც გვიხარიაო. საფეხბურთო ტურიზმი — აშკარა და არცთუ ძველი ჟანრია, ის კიდევ უფრო განვითარდება და გაიზრდება. ლაშქართა მოულელი და საოცარი მოძრაობა კარგახანია აღარ არის ხულიგნური სულისა, მას უკვე თვალში საცემად ოჯახური იერიც აქვს.

წამყვან ძალას ასეთ შეჯიბრებებზე სკანდინავები, ჰოლანდიელები და, რა თქმა უნდა, ინგლისელები წარმოადგენენ. საგულშემატკივრო და ეკონომიკურ ამინდსაც ისინი ქმნიან, მათ უყვართ მზე, ლუდი და ფეხბურთი და როგორც პორტუგალიელები დაიჩივლებენ, ძალიან მდიდრები არიან. აქ სიმდიდრეში ის იგულისხმება, რომ ისინი ფასზე არ ვაჭრობენ, სრულიად უბრალო სასტუმროში ეგებ სამმაგიც გადიხადონ, რადგან იციან, რომ ფეხბურთზე, ფაქტობრივად, ლაშქრობაში არიან. სამხრეთში, ალგარვეს საკურორტო ზონა, სადაც სწორედაც რომ მშვენიერი ფარუა, მთლიანად ინგლისელი ტურისტების ხელშია ისედაც. სწორედ იქ მოხდა ცნობილი ჩხუბი, რომელსაც ფეხბურთთან საერთოდ არ ჰქონდა კავშირი და რომლის გამოც 46 წლის კენტელი მეხანძრე დღემდე ჩივის, ტყუილად გამასამართლესო. ამიტომ, გულშემატკივართა ძალა და მნიშვნელობა ჩემპიონატისთვის, გადამწყვეტია. საკვირველი კი ის არის, რომ როცა ამათუიმ ქვეყნის გულშემატკივრები (ვთქვათ, ჩეხეთის) მათთვის გამოყოფილ ბილეთებს ვერ აითვისებენ, ამ ბილეთებს, როგორც წესი, ინგლისელები ყიდულობენ.

ალბათ შეგიმჩნევიათ სხვადასხვა თამაშებზე გადმოფენილი უამრავი ინგლისური დროშა. ეს სწორედ ამას ნიშნავს, ფანი, თავს აფიქსირებს, ამ თამაშზეც ინგლისელები ვართო. ასევე იციან ჰოლანდიელებმაც, თუმცა უფრო იშვიათად.

შენ კი მაშინ მიხვდები, რომ ჩემპიონატი ბოლოსკენ მიედინება, როცა პორტუგალიის პატარა და დიდი ქალაქების ქუჩებში ინგლისელებს ვეღარ დაინახავ, უფრო სწორად, სამი დღის მანძილზე ამჩნევ, რომ მათი ჯარები ცოტავდება და ცოტავდება, სულ ბოლოს კი თითქმის ქრება. როგორც წესი, ინგლისი მეოთხედფინალში ვარდება ამგვარი შეჯიბრებებიდან და ინგლისელთა კლებაც აქედან იწყება, ანუ აქედან წყნარდება ქუჩები და მოედნები. თუმცა, სიმართლე რომ გითხრათ, ეს სიწყნარე სულაც არ უხდება ჩემპიონატის ნარჩენ ნაწილს.

ამის შემდეგ, თუკი ის სკანდინავები შემორჩებიან, წამყვან ძალას ისინი წარმოადგენენ ხოლმე. და რა თქმა უნდა, ჰოლანდიელები, რომელთა ოდენობაც მკვეთრად მატულობს. აი, ჩეხეთი ახლოა ფინალთან და გულშემატკივარი ჰოლანდიასთან მატჩზე ხუთჯერ მეტი ჰყავდა, ვიდრე მეოთხედფინალში. მიზეზი — ფინანსები, გულშემატკივართა კეთილდღეობა, ქისა. ჩეხს არ შეუძლია ინგლისელივით და ჰოლანდიელივით. თუ საქმე გახურდა, ჩამოვა, სამი დღის ფულს მოაგროვებს, სამი კვირისას კი იშვიათად.

აი, ასეთი ამბავია, ჩეხებით დავამთავროთ, დაველოდოთ ჩეხებს და ელინებს.

ხვალ კი ისევ ვილაპარაკოთ. უფრო ფეხბურთზე, ვიდრე გულშემატკივრებზე.

ნახევარფინალი. დღეს

პორტუ. დრაგაუ. 22.45

საბერძნეთი — ჩეხეთი

სავარაუდო შემადგენლობები

1 ნიკოპოლიდისი

19 კაასისი 5 დელასი

2 სეიტარიდისი 14 ფისასი

7 ზაგორაკისი 6 გასინასი

8 იანაკოპულოსი 20 კარაგუნისი

9 ხარისტიასი 15 ვრიზასი

მწვრთნელი: ოტო რეჰაგელი

1 ჩეხი

21 უიფალუში 5 გოლფი

2 გრიგერა 6 იანკულოვსკი

4 გალაშეკი

8 პოგორსკი 11 ნედვედი

10 როსიცკი

15 ბაროში 9 კოლერი

მწვრთნელი: ჯარელ ბრუკნერი

მსაჯი: პიერლუიჯი პოლინა (იტალია)

სიფრთხილეს თავი სტკივა

ასი, ასი, ასლამაზი ჯარელისთვის

ალბათ, ბევრი ვერ წარმოიდგენდა, რომ ევრო 2004-ის ბედში ჩეხი მილან ბაროშის და ბერძენი ტრაიანოს დელასის ორთაბრძოლა შეიძლებოდა სერიოზულად ჩარეულიყო, მაგრამ ფაქტია, რომ დღეს, ნახევარფინალში ერთმანეთის პირისპირ სწორედ ბერძნები და ჩეხები წარდგებიან, ხოლო მათ შორის გამარჯვებულის გარკვევა სხვასთან ერთად დამოკიდებული ზემოთ ჩამოთვლილი მოთამაშეების ინდივიდუალურ პაექრობაზეც იქნება — ბაროში მოგეხსენებათ თავდამსხმელია, ხოლო დელასი მცველი.

ბაროშს აქამდე ჩატარებულ ოთხივე შეხვედრაში აქვს გოლი გატანილი და ვინაიდან ერთში (დანიასთან მეოთხედფინალში) ერთბაშად ორიც კი შეაგდო, ჯამში ხუთი გოლით ჩემპიონატის ბომბარდირთა შორის ლიდერია. დღეს კი 22 წლის ჩეხს შეუძლია ლეგენდარულ მიშელ პლატინის დაეწიოს — თუ ბერძნებსაც გაუტანს, ევროპის ჩემპიონატების ისტორიაში გახდება მეორე ფეხბურთელი, რომელსაც ზედიზედ ხუთ შეხვედრაში ექნება გოლი შეგდებული.

ხოლო ტრაიანოს დელასი ბაროშსა და პლატინის შედეგს შორის წინააღმდეგობად აღიმართება. ბერძენ მცველს „რომაში" ცუდი სეზონი ჰქონდა, მაგრამ აი, ევროპის ჩემპიონატზე ერთ-ერთ საუკეთესო მცველად გამოჩნდა. თუმცა, იქნებ ევრო 2004-ზე დელასის კარგი თამაში სწორედაც რომ სერია A-ში ჩატარებული მხოლოდ 12 მატჩით იყოს განპირობებული — ხომ აკვირდებით, ამ ჩემპიონატზე დიდი საკლუბო სეზონებით გადაღლილი ფეხბურთელები წარმატებით რომ ვერ თამაშობენ.

ბაროშიც ვერ დაიკვეხნის გასულ სეზონში „ლივერპულში" ჩატარებული შეხვედრებით და გოლების რაოდენობით. იგი ტრავმირებული იყო (თუ გნებავთ, ასე ვთქვათ: ტრავმამ დაასვენა პრემიერლიგის დამქანცველი სეზონისგან) და ამიტომ მხოლოდ ცამეტჯერ გავიდა მოედანზე, სადაც ერთადერთი გოლი შეაგდო.

და მაინც, ბაროშის ნიჭისა და უნარის შესახებ საზოგადოებისთვის უფრო იყო ცნობილი, ვიდრე დელასის ამბავი. უფრო სწორად, ბაროშის და მისი თანაგუნდელებისგან ევროპელი გულშემატკივარი, წინსვლას სულაც არ გამორიცხავდა, ბერძნების ნახევარფინალში გასვლა კი სენსაცია გამოდგა.

ოტო რეჰაგელის გაწვრთნილმა ბერძნებმა სიურპრიზების ევროშეთავაზება პირველივე დღიდან დაიწყეს, როდესაც ჩემპიონატის მასპინძელს, პორტუგალიას მოუგეს 2:1. შემდეგ, ესპანეთთან ფრემ (რუსეთთან კი დამარცხდნენ) ჯგუფიდან გასვლის საშუალება მისცა, ბედმა კი მეოთხედფინალში საფრანგეთს შეახვედრა.

და მეოთხედფინალში საბერძნეთის ნაკრებმა კიდევ ერთი სიურპრიზი მოუმზადა საფეხბურთო საყაროს — ევროპის ჩემპიონები გამოთიშა შეჯიბრებას.

რეჰაგელის განკარგულებაში ისევ არიან გამორჩეული მოთამაშეები, ზისის ვრიზასი და სტელიოს იანაკოპულოსი.

ვრიზასის მიერ რუსების კარში გატანილმა გოლმა (როგორც გითხარით, რუსებმა ბერძნებს მოუგეს — 2:1) გუნდს ჯგუფში მეორეობა არგუნა, თუმცა შემდეგ თავდამსხმელმა დისკვალიფიკაციის გამო მეოთხედფინალი გამოტოვა, რეჰაგელმა მისი ადგილი დემის ნიკოლაიდისს დაუთმო.

იანაკოპულოსი კი ბოლო ორ შეხვედრაში ტრავმის გამო არ იყო, მაგრამ ახლა გამოჯანმრთელდა და დღეს, როგორც ამბობენ, უეჭველად ითამაშებს.

ჩეხებს კი ამასობაში არ ეყოლებათ მცველი მარტინ ჟირანეკი, რომელმაც კვირას, დანიელების 3:0 დამარცხების დროს ბარძაყის კუნთი იტკინა. ჩეხეთის ნაკრების ექიმმა პეტრ კრეიცლმა ჟირანეკზე ასე თქვა:

„მას დრო სჭირდება, რადგან ამ ტიპის ტრავმა ძალიან უსიამოვნოა".

ჟირანეკის ნაცვლად დღეს ბერძნებს ზდენეკ გრიგერა დაუდგება. გრიგერა ის კაცია, რომელიც, თუ გახსოვთ, მწვრთნელმა კარელ ბრუკნერმა ჰოლანდიელებთან შეხვედრაში 25-ე წუთზევე გამოცვალა, რადგან ცუდად თამაშობდა, იმ შეხვედრას ჩეხები 0:2-ს აგებდნენ, მაგრამ, შემდეგ 3:2 მოიგეს.

და კიდევ ერთი ჩეხური პრობლემა — დანიასთან ყვითელი ბარათი გუნდის ლიდერმა, პაველ ნედვედმა მიიღო, დღეს კი ნახევარფინალია. გეუბნებათ რამეს ერთად წარმოთქმული „ნედვედი და ნახევარფინალი"? ვინც ვერ გაიხსენა, რა კავშირშია ეს ორი ცნება ერთმანეთთან, შეგახსენებთ, რომ 2003 წელს ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში, „იუვენტუსის" ჩეხმა ნახევარმცველმა პაველ ნედვედმა „რეალთან" გამარჯვებით დასრულებული შეხვედრის ბოლო მონაკვეთში სრულიად უაზრო ყვითელი ბარათი მიიღო და... ფინალი გამოტოვა. ვინ იცის, სწორედ მისი არყოფნის გამო წააგო მაშინ „იუვენტუსმა" „მილანთან".

დანიასთან მიღებული ყვითელი ბარათის გამო ჩეხეთის დელეგაციამ უეფაში თხოვნა შეიტანა, ნედვედისთვის ეს გაფრთხილება გაეუქმებინათ. მიზეზად ჩეხთა ფეხბურთის ასოციაციის გენერალურმა მდივანმა პეტრ ფუშეკმა ის მოიდო, რომ ნედვედის და იესპერ გრონკიაერის კონტაქტი უფრო შემთხვევითს ჰგავდა, ვიდრე განზრახს, მაგრამ უეფამ ჩეხებს უარი შეუთვალა.

„რა თქმა უნდა, ნედვედს ბერძნებთან ვათამაშებ — ხელები გაშალა ბრუკნერმა — აბა, მის გარეშე როგორ უნდა ვითამაშოთ?"

თავად ნედვედი კი თემას ასე გამოეხმაურა:

„ვიცი, რომ რაც შეიძლება ფრთხილად უნდა ვიყო, თორემ ფინალს გამოვტოვებ, მაგრამ მეორე მხრივ, ისიც აშკარაა, რომ ნახევარფინალში თავს ვერაფრით დავზოგავ. ერთი სიტყვით, მანდა სრულყოფილი ფეხბურთი ითამაშო. თავს დავდებ და ვერც იმის პირობას ვიძლევი, რომ ბოლამდე სიფრთხილეზე ვიფიქრებ. ვირბენ და ვირბენ, ორთაბრძოლაში კი, თუ შეიძლება, უკანმოუხედავად არ შევალ".

ნედვედის გარდა, დღეს ფრთხილად კიდევ ოთხი ფეხბურთელი უნდა იყოს: მარეკ იანკულოვსკი და ტომაშ უიფალუში ნედვედის თანამემამულეთაგან, ხოლო ბერძენთაგან თეოდოროს ზაგორაკისი და გეორგეოს კარაგუნისი. მათ თითო ყვითელი უკვე აქვთ.

კიდევ რისი თქმა შეიძლება დღევანდელ მეტოქეებზე? ალბათ, უპრიანია სტატისტიკური მონაცემები გადავათვალიეროთ და იქ ვიპოვოთ რაიმე საინტერესო. მაგალითად ის, რომ ბერძენთა ნაკრების საშუალო ასაკი 28 წელია, ხოლო ჩეხთა 27, გარკვეულ დამატებით ინფორმაციას გვაძლევს. ერთმანეთს გუნდები სულ ექვსჯერ შეხვედრიან და აქედან ჩეხებს ხუთჯერ მოუგიათ. ერთხელ კი მეტოქეები (0:0) დაზავებულან — სხვათა შორის, ეს ამბავი მათი ბოლო დაპირისპირებისას, 2002 წლის 17 აპრილს მოხდა.

დღეს — თუ ითამაშებს, რა თქმა უნდა — ზისის ვრიზასი, რომელზეც ზემოთაც მოგახსენეთ, ორმოცდამეათედ ჩაიცვამს ნაკრების მაისურას, ხოლო თეოდოროს ზაგორაკისისთვის (რომელსაც ეროვნული გუნდის შემადგენლობაში ერთი გოლიც არ აქვს გატანილი) ეს მატჩი 93-ე იქნება. ცნობისთვის: ბერძენთა რეკორდსმენი გახლავთ ეფსტრატიროს აპოსტოლაკისი — 95.

ახლა, რაც შეეხებათ ჩეხებს — ეს მატჩი კარელ პობორსკისთვის ნაკრებში 99-ე იქნება და ვინაიდან ეს ასეა, გთხოვთ წარმოიდგინოთ, რას ნიშნავს ამ ადამიანისთვის ფინალში გასვლა და იქ მოგება.

და ბოლოს, ევროპის ჩემპიონატების ისტორიაში არ ყოფილა შემთხვევა, ტიტული მოეგო გუნდს, რომელსაც უცხოელი მწვრთნელი ჰყავდა.

ჩეხების თავკაცი კარელ ბრუკნერი სლოვაკია, ბერძნების ოტო რეჰაგელი კი გერმანელი... ასე რომ, ვნახოთ.

პაპუნა კედია

პაველ ნედვედი: არ ვარ მუტანტი!

ჯორჯ ბუშს რაღა უნდა?

1996 წელს ევროპის ჩემპიონატის ფინალში ჩეხები ოლივერ ბირჰოფმა გაამწარა. ამჯერად ჩეხეთმა გერმანიას ერთგვარად სამაგიერო მიუზღო და ჯგუფში ჩატოვა. კარელ ბრუკნერის გუნდი პორტუგალიაში ჩემპიონატის ფავორიტად ითვლება, ხოლო ნაკრების ლიდერი პაველ ნედვედი ფიქრობს, რომ მისმა თაობამ ეს შანსი ხელიდან არ უნდა გაუშვას. სწორედ ამის შესახებ საუბრობს „იუვენტუსის“ ლეგიონერი ინტერვიუში, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ

პაველ ნედვედის უჩვეულო მუხლმა ექიმებიც გააკვირვა

— საფრანგეთი, იტალია, ინგლისი, ესპანეთი და გერმანია პორტუგალიას უკვე დაემშვიდობნენ, თქვენ კი ჩემპიონობას გიწინასწარმეტყველებენ...

— ნამდვილად ბრწყინვალე გუნდი გვყავს. გამოცდილებს ახალგაზრდა, ნიჭიერი ფეხბურთელები დაგვემატნენ, კარელ ბრუკნერი კი გენიალური სტრატეგია. ამ ყველაფერმა ერთად წარმატება უნდა მოგვიტანოს, მაგრამ არ გვსიამოვნებს, როცა ფავორიტებად მოგვიხსენებენ. შეგიძლიათ ამას ცრურწმენა დაარქვათ, პროგნოზები კი აქ, როგორც ხედავთ, არ მართლდება.

— ოტო რეჰაგელმა თქვა, ჩეხეთი საბერძნეთზე უკეთესი გუნდიაო.

— ეს ჩვეულებრივი ფანდია. დაუჯერებელია, რომ რეჰაგელის დონის გამოცდილმა მწვრთნელმა, რომლის ნაკრებმაც საფრანგეთი გაისტუმრა, მატჩამდე თეთრი დროშა გადმოფინოს და დაგვნებდეს. ბერძნებთან გაცილებით რთული შეხვედრა გველის, ვიდრე დანიასთან გვქონდა. ელინებს ძალიან შეკრული გუნდი ჰყავთ და განსაკუთრებით კარგი დაცვით გამოირჩევიან. მათი ყაიდის მეტოქეებთან თამაში ყოველთვის გვიჭირდა.

— დავუშვათ, ფინალში გახვედით, თქვენი ნება რომ იყოს, ვისთან შეხვედრას ისურვებდით?

— მნიშვნელობა არ აქვს. ჰოლანდიას ვიცნობთ, პორტუგალია მასპინძელია და მთელი ქვეყანა ქომაგობს, თუმც ათიათასამდე ჩეხი ჩვენც ჩამოგვყვა. ძალიან სასიამოვნოა, როცა გულშემატკივარი გამხნევებს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ფული დახარჯეს აქ ჩამოსასვლელად და თავისი ნაკრების მხარდასაჭერად, ამიტომ მათი გულისთვის, რაც შეიძლება უკეთ თამაში გვმართებს.

— თვით ჩეხეთის პრეზიდენტმა მოგილოცათ დანიასთან გამარჯვება.

— ეს ძალიან სასიამოვნოა. იგი სტამბოლშია, ნატოს სამიტზე, მაგრამ თამაშის სანახავად მაინც მოიცალა. ვაცლავ კლაუსმა ისიც გვითხრა, ჯორჯ ბუში წარმატებას გისურვებთო.

— თქვენ მილან ბაროში გყავთ, რომელმაც ოთხივე მატჩში თითქმის ყველა საგოლე შანსი გამოიყენა, მის ასეთ შედეგიანობას რით ახსნით?

— უცნაურია, მაგრამ ბაროშის ბრწყინვალე თამაში... ტრავმამ გამოიწვია, რომლის გამოც რამდენიმე თვე გაუცდა. ამიტომაც არის მეტად მონდომებული. ფაქტობრივად, მან ნახევარი სეზონი დაისვენა და სხვებზე უკეთესად გამოიყურება.

— მარტო ბაროში კი არა, მთელი გუნდი გამოირჩევა გამძლეობით...

— გარკვეულწილად ასეა, რადგან ფუნქციონალურად კარგად მოვემზადეთ. ეს ბრუკნერის დამსახურებაა. მეორე ტაიმში, როცა მეტოქე სიცხისგან და სირბილისგან დაიღლება, ჩვენ ტემპს ვუმატებთ. გარდა ამისა, თითქმის ორი თანაბრად ძლიერი გუნდი გვყავს. მწვრთნელი გერმანიის დონის ნაკრებთან ისეთ შემადგენლობას გაიყვანს, რომელსაც არ ენდობა? კარელ ბრუკნერს სათადარიგოებისაც ისევე სჯერა, როგორც ძირითადი თერთმეტეულისა. ეს კი ფეხბურთელებს დასვენების საშუალებას აძლევს.

— მსოფლიო გააოცა ცნობამ, რომ თქვენი მუხლის თავი სამი ძვლის ნაზავი ყოფილა. ჩვეულებრივ კი ადამიანებს ერთძვლიანი მუხლი აქვთ.

— ამ ამბავში სენსაციურს ვერაფერს ვხედავ. ღმერთმა ალბათ ასე ინება. ნაკრების ექიმი კი გაოცდა, მაგრამ მე მუტანტი არ ვარ. ხდება ხოლმე, ადამიანები სხვადასხვა ფიზიკური ნაკლით იბადებიან, მაგრამ ჩემს შემთხვევაში განსაკუთრებული არაფერია. ფეხბურთელი რომ არ გავმხდარიყავი, ისე ვიცხოვრებდი, ამას ვერც შევიტყობდი.

ზერძენი ქვიტაა, მაგრამ ...

ერთი თვის წინ სულ სხვა სურათი იყო. ევრო 2004-მა კი ყველაფერი ყირაზე დააყენა — ბერძენი ფეხბურთელების ფასმა ევრობაზარზე უცბად იმატა. დღეს, ნახევარფინალში, ჩეხებისა და ბერძნების შეხვედრისას, ტრიბუნებზე უდიდესი კლუბების სკაუტებს ელიან და არ არის გამორიცხული, ოტო რეჰაგელის შეგირდთა ერთმა ნაწილმა ახალი სეზონიდან ძალიან ცნობილი გუნდების მაისურები მოირგონ

იურკას სეიტარიდისი

„ჩვენი მიზანი მსოფლიოსთვის ბერძენი ფეხბურთელების შესაძლებლობათა ჩვენება გახლდათ. ჩვენ დავამტკიცეთ, რომ უძლიერესი ფეხბურთელებიც გვყავს და გუნდის შექმნაც შეგვიძლია. გვინდოდა ყველას ენახა, თუ როგორი ფეხბურთის თამაში შეგვიძლია“ — განაცხადა მეკარე ანტონის ნიკოპოლიდისმა.

არადა, საკუთრივ საბერძნეთის პირველობას ევროპაში იცნობენ, როგორც ცუდად დაფინანსებულ, ცუდადვე ორგანიზებულ და ჩხუბიან ღონისძიებას, მაგრამ აღსანიშნავია, რომ დღეს პორტუგალიაში მყოფი 23 მოთამაშიდან მხოლოდ რვა თამაშობს უცხოეთში.

დღეს ასეთი ვითარებაა: იურკას სეიტარიდისი ევროპის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ, ალბათ, „პორტუში“ დარჩება. ამბობენ, „პანათინაიკოსის“ 23 წლის მცველმა სამწლიან კონტრაქტზე თქვა თანხმობა და ამ სამწლიანი კონტრაქტის სანაცვლოდ მისი ბერძნული კლუბი 3 მილიონ ევროს მიიღებს.

კიდევ ერთი მცველი, ტაკის ფისასი ისედაც პორტუგალიაში თამაშობს. ადრე ისიც „პანათინაიკოსში“ გამოდიოდა, მაგრამ შემდეგ „ბენფიკაში“ გადაბარგდა.

ტრაიანოს დელასი „რომაში“ თამაშობს, თუმცა გასული სეზონი დიდად წარმატებული არ ჰქონია და ამიტომ, ალბათ, იგიც კარგი ფასით გავა სატრანსფერო ბაზარზე.

საინტერესოა, რომ საბერძნეთის ნაკრებში ათენის აეკ-ის ხუთი ფეხბურთელია და ვინაიდან კლუბი ფინანსურად დალხენილი არ არის, სავარაუდოდ, თუ ნორმალური შეთავაზება ექნება, ხუთივეს გაჰყიდის. გასაოგნებელია, რომ თეოდოროს ზაგორაკისს, კოსტას კაცურანისს, მიხაილის კაპსისს, ვასილის ლაკისს და ვასილის ცარტასს რამდენიმე თვეა ხელფასი არ აუღიათ. რა გასაკვირია, რომ მათ პირველივე ღირსეულ წინადადებაზე თანხმობა განაცხადონ? თუმცა ერთი მომენტიც არის — ზაგორაკისი 33 წლისაა.

რაც შეეხება დემის ნიკოლაიდისს: ნიკოლაიდისს მდიდარი ნაცნობები ჰყოლია და ამბობდნენ, რომ აეკ-ის პრეზიდენტიც ის გახდება, რადგან კლუბში კონკრეტულ ფულს და პროექტს (ძირითადად ხელფასების შემცირებისას) მიიტანსო, აქვე ვთქვათ, რომ მადრიდის „ატლეტიკოს“ ნიკოლაიდისი სწორედ აეკ-მა მიჰყიდა.

ამ ერთ თვეში ბევრი სერიოზული შეთავაზება მისულა „პანათინაიკოსის“ ოფისში ნახევარმცველის, ანგელოს ბასინასის თაობაზე. ხოლო მცველი ნიკოს დაბიზასი „ლესტერ სიტიში“ ჩაალაგებს ჩანთას და იტყვის, ინგლისის პრემიერლიგიდან გავარდნილ გუნდში არაფერი მესაქმებაო.

პაპუნა კედია

ტრაიანოს დელასი

მარკოვიჩმა ბარიჩი პენსიაზე გაუშვა

ხორვატია ახალ სახელს ერთ ჯვირაში გაიგებს

მომავალ კვირას ხორვატიის ნაკრებს ახალ მწვრთნელს დაუნიშნავენ. 71 წლის ოტო ბარიჩს კონტრაქტის ვადა 31 ივლისს ეწურება. მისი სავარაუდო შემცვლელი ჯერ არ დაუსახელებიათ, მაგრამ ქვეყნის ფეხბურთის პრეზიდენტმა, ვლატკო მარკოვიჩმა განაცხადა: „ბევრი დრო არ გვაქვს. 18 აგვისტოს ისრაელს ამხანაგურად უნდა გავეჯიბროთ და ამ მატჩით მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატისთვის მომზადებას ვიწყებთ. ნაკრებში გამოცდილი, მცოდნე და წარმატებული მწვრთნელის მოყვანა გვსურს. ჩვენ 2006 წელს გერმანიაში თამაშს ვაპირებთ. უცხოელს ალბათ არ მოვიწვევთ, რადგან გუნდის გასაცნობად და აქაურობასთან შესაგუებლად დრო დასჭირდება. რამდენიმე კანდიდატი შერჩეული გვყავს და, სავარაუდოდ, 8 ივლისს ახალ მწვრთნელს დავასახელებთ“.

ხორვატიის ნაკრებთან მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში, შვედეთი, ბულგარეთი, უნგრეთი, ისლანდია და მალტა მოხვდნენ. ხორვატები პირველ მატჩს 4 სექტემბერს შინ, უნგრეთთან გამართავენ.

ვაჟა ხუციშვილი

შეღებილი და შურაცხყოფილი ბექემი ჩამოხსნეს

ინგლისელმა ფანებმა ნაკრებზე შურისძიების ორიგინალურ ხერხს მიაგნეს. ლონდონში, ხელოვნების სამეფო აკადემიაში გამოფენილ დევიდ ბექემის სურათს წითელი საღებავით მიაწერეს: **„YOU LOOSERS“**, რაც უხეშად რომ ვთარგმნოთ, ნიშნავს: „თქვენ ჩამსვრელები ხართ“.

იქაური ჟურნალისტების აზრით, სიტყვაში: **„LOOSERS“** ერთი „O“ ზედმეტია, ანუ შეცდომითაა დაწერილი, ოღონდ ეს შეგნებულად გაკეთეს, რათა დევიდ ბექემის და მისი ესპანელი სატრფო **REBEKA LOOS**-ის კავშირზე მიენიშნებინათ.

ფანებს შეეცარიელი მსაჯი ურს მაიერიც არ დავიწყებიათ და საღებავი მის სალანძღავადაც დახარჯეს.

მადრიდის „რეალის“ ლეგიონერის სურთი 7 ათას 500 გირვანქად უკვე გაყიდული იყო და იგი ცხადია, გასასუფთავებლად ჩამოხსნეს.

გალერეის დირექტორი დევიდ გროხმარების აღმოსაჩენად დანაშაულებრივად დაგვიანდა — უთხრა საგენტო „როიტერს“ ვექილმა ალან იაკუბოვიჩმა — საქმე კი ის გახლავთ, რომ სტადიონზე არც ექიმი ჰყავდათ და არც სამედიცინო აღჭურვილობა ჰქონდათ მომზადებული. ფოეს სიკვდილი ბედისწერასთან კავშირში არ არის, დადგენილია, რომ ის ჯანმრთელი კაცი იყო. ის გულის შეტევამ მოკლა, ხოლო ასეთი რამ ჩვეულებრივ შეიძლება მოხდეს. აქ მთავარია, რომ ტრაგედიის ადგილას ექიმი იყოს“.

სასამართლო თავის დასკვნას 5 ივლისს წარმოადგენს და იაკუბოვიჩი მხოლოდ ამის მერე გადადგამს შემდეგ ნაბიჯს.

„ტრაგედიიდან ერთი წელიწადია გასული და ამ ხნის განმავლობაში საფეხბურთო ჩინოვნიკებმა დიახაც, ბევრი ამაღელვებელი სიტყვა წარმოთქვეს, მაგრამ ქალბატონი ფოე ჯერ კიდევ იცდის — დასძინა ვექილმა — საქველმოქმედო ღონისძიებების მოწყობა ძალიან კარგია, მაგრამ ეს მარი-ლუიზ ფოესა და მის ბავშვებს ვერ დაეხმარება“.

საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციიდან კომენტარი არავის უთქამს.

პაპუნა ძედია

ეჭვი წლისთავზე

აწგარდაცვლილი კამერუნელი ფეხბურთელის, მარკ-ვივიენ ფოეს ოჯახი საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციას სწორი სამედიცინო ექსპერტიზის ვერჩატარებაში ადანაშაულებს. შეგახსენებთ, რომ ფოე ერთი წლის წინ, კონფედერაციათა თასის შეხვედრის დროს გარდაიცვალა.

დღეს, მეუღლის წლისთავზე, მოთამაშის ცოლი, მარი-ლუიზი და მისი ვექილი ფედერაციის დოკუმენტების ნახვას ითხოვენ. მათ უნდათ ლიონის სტადიონ „ჟრლანთან“ დაკავშირებული დეტალები გამოიკვლიონ. სწორედ ამ სტადიონზე, კამერუნისა და კოლუმბიის ნაკრებთა შეხვედრის დროს, 72-ე წუთზე დატრიალდა ტრაგედია.

„ყველამ დაინახა, როგორ დაენარცხა ფოე, მაგრამ მისი მოედნიდან გაყვანა იქვე, სტადიონის სამედიცინო პუნქტში პირველადი დახმარების აღმოსაჩენად დანაშაულებრივად დაგვიანდა — უთხრა საგენტო „როიტერს“ ვექილმა ალან იაკუბოვიჩმა — საქმე კი ის გახლავთ, რომ სტადიონზე არც ექიმი ჰყავდათ და არც სამედიცინო აღჭურვილობა ჰქონდათ მომზადებული. ფოეს სიკვდილი ბედისწერასთან კავშირში არ არის, დადგენილია, რომ ის ჯანმრთელი კაცი იყო. ის გულის შეტევამ მოკლა, ხოლო ასეთი რამ ჩვეულებრივ შეიძლება მოხდეს. აქ მთავარია, რომ ტრაგედიის ადგილას ექიმი იყოს“.

მარკ-ვივიენ ფოეს გადარჩენა შეიძლებოდაო, ამტკიცებს გარდაცვლილის მეუღლე

ფეხბურთის რუკასთან

ესპანურ „რეალში“ მალე ახალ პრეზიდენტს აირჩევენ, კანდიდატებიც წინა საარჩევნო კამპანიით არიან დაკავებულნი. თუ პოსტზე კვლავაც ფლორენტინო პერესი დარჩება, ეს უკანასკნელი ამომრჩევლებს ანუ კლუბის წევრებს „სანტიაგო ბერნაბეუს“ რეკონსტრუქციას ჰპირდება. მისი თქმით, „ბერნაბეუ“ მსოფლიოში საუკეთესო სტადიონი გახდება. როგორც ამბობენ, ამ პროექტზე დაახლოებით 100 მილიონი ევრო უნდა დაიხარჯოს.

ინგლისური „ლივერპულის“ ახალი თავკაცი რაფაელ ბენიტესი გუნდის ესპანელებით გაძლიერებას აპირებს. მან „სოსიედადის“ ნახევარმცველ ხაბი ალონსოს და თავის ყოფილ შეგირდ რუბენ ბარახას დაადგა თვალი. ხაბი ალონსოს გადაბირებასხვა კლუბებსაც სურთ, მათ შორის მადრიდის „რეალსაც“, რომელიც ფეხბურთელში 15 მილიონ ევროს იხდის. რაც შეეხება „ვალენსიას“ ნახევარმცველ ბარახას, ესპანეთის ჩემპიონთა ხელმძღვანელები ამბობენ, მსურველმა 18 მილიონი ევრო გადაიხადოს და მერე თუ უნდათ, წაიყვანონო.

ესპანეთის პრიმერადივიზიონში დაბრუნებული „ხეტაფე“ ახალ მწვრთნელს ეძებს. კლუბი ლიგაში ერთ-ერთი ღარიბთაგანია და მაღალი ხელფასის გადახდა არ შეუძლია. სწორედ ამიტომ იუარა „ხეტაფეს“ შეთავაზება წარსულში ცნობილმა ფეხბურთელმა მიჩელმა, ახლა კი მოლაპარაკება მადრიდის „რეალის“ კიდევ ერთ ლეგენდასთან, უგო სანჩესთან მიმდინარეობს, რომელიც მოსაფიქრებლად სამშობლოში გაემგზავრა. მის გარდა, კანდიდატები ბენიტო ფლორო და კიკე სანჩეს ფლორესიც არიან.

იტალიური „ფიორენტინას“ ხელმძღვანელობა კლუბში „იების“ კიდევ ერთი ყოფილი ფეხბურთელის, მანუელ რუი კოშტას დაბრუნებას გეგმავს. პორტუგალიელს „მილანთან“ კონტრაქტი 2006 წლამდე აქვს, მაგრამ „შავ-წითლებში“ ბრაზილიელი კაკას გამოჩენამ, მას გუნდის გამოცვლაზე დააწყებინა ფიქრი. რუი კოშტამ არაერთხელ თქვა, თუ „მილანიდან“ წავალ, მხოლოდ „ფიორენტინას“ ან „ბენფიკას“ დავუბრუნდებიო. შეგახსენებთ, რომ არც ისაა გამორიცხული, რომ „იებში“ რობერტო ბაჯო და გაბრიელ ბატისტუტაც ვიხილოთ.

საფრანგეთის ერთ-ერთ ყველაზე ტიტულიან კლუბ „სენტ-ეტიენს“ სასამართლომ სანკტ პეტერბურგის „ზენიტის“ სასარგებლოდ 1,5 მილიონი დოლარის გადახდა დააკისრა. საქმე ისაა, რომ კლუბები 2000 წელს ურთიერთანამშრომლობაზე შეთანხმდნენ, თუმც ფრანგებმა პირობა არ შეასრულეს. „სენტ ეტიენის“ ადვოკატები ალბათ გადაწყვეტილების გაასაჩივრებენ.

შვეიცარიის ნაკრების 27 წლის მცველი პატრიკ მიულერი ესპანურ „მილიორკაში“ გადავიდა. კონტრაქტის პირობები ჯერჯერობით უცნობია. მიულერმა ევრო 2004-ზეც ითამაშა. სულ კი ნაკრების ღირსება 48-ჯერ დაუცავს. შეგახსენებთ, რომ ბოლო წლებში იგი „ლიონში“ ბურთაობდა და საფრანგეთის ზედიზედ ორგზის ჩემპიონიცაა.

ინგლისური „მიდლსბროს“ თავკაც სტივ მაკლარენს ოუენ ჰარგრივსის შეძენა სურს. მაკლარენი ევრო 2004-ზე ინგლისის ნაკრების მწვრთნელ სვენ გორან ერიკსონის თანაშემწე იყო და ფეხბურთელის ავან-ჩავანიც უკეთ იცის. „ჰარგრივსით ყოველთვის აღფრთოვანებული ვიყავი, ხოლო პორტუგალიაში დავრწმუნდი, რომ იგი მართლაც ძალიან ნიჭიერია“ — თქვა მაკლარენმა.

იტალიურმა გრანდებმა, „მილანმა“ და „იუვენტუსმა“ ამსტერდამის „აიაქსის“ ახალგაზრდა მცველ ჯონი ჰეიტინგას დაადგეს თვალი. ჰეიტინგა ამჟამად არცთუ ურიგოდ თამაშობს ევრო 2004-ზე. იტალიური კლუბები ამსტერდამელებთან მოლაპარაკებებს მას მერე დაიწყებენ, როდესაც ჰოლანდია პორტუგალიიდან გამოემგზავრება.

ინგლისურ „ბირმინგემთან“ კონტრაქტის გახანგძლივებით ფრთებშესხმული სტივ ბრიუსი იესპერ გრონკიაერთან მოსალაპარაკებლად დანიაში მიემგზავრება. „ვფიქრობ, გრონკიაერი ისეთი სტილის მოთამაშეა, რომელიც ჩვენი კლუბისთვის ზედგამოჭრილია. კონტრაქტი უკვე გავაფორმეთ მარიო მელხიოტთან, ხოლო თუ გრონკიაერის, ემილ ჰესკის, მაზი იზეტის, მიკაელ ფორსელისა და ჯულიან გრეის გადაბირებასაც მოვახერხებთ, ძალიან ბედნიერი ვიქნები“ — დასძინა ბრიუსმა.

გერმანელმა მცველმა კრისტოფ მეცელდერმა შესაძლოა, საფეხბურთო კარიერა ნაადრევად დაასრულოს. მიზეზი, აქილევსის მყესის ტრავმაა. დორტმუნდის „ბორუსიას“ ფეხბურთელი ორი წლის წინ დაშავდა და სრულად ჯერაც ვერ მომჯობინდა. „მსუბუქადაც ვერ ვვარჯიშობ, ტკივილი კვლავაც მაწუხებს. ექიმები მეუბნებიან, მინდორს ორი თვის შემდეგღა თუ დაუბრუნდებიო“ — თქვა მეცელდერმა. „ბორუსიას“, ექიმებმა გუნდის ახალი მწვრთნელი ბერტ ვან მარვიიკი ასე „დაიმედეს“, მეცელდერის იმედი 2005 წლის იანვრამდე ნულარ გექნებათო.



№17 ლარსონის ჯანი და გოლეზი ორი წლით

კატალონიური „ბარსელონა“ 2004-05 წლების სეზონისთვის ძალებს იკრებს. გუშინ ევრო 2004-ის ერთ-ერთი გმირი, შვედი მეგოლე ჰენრიკ ლარსონი ფრანკ რაიკარდის გუნდში ოფიციალურად ჩაირიცხა. ჰენრიკი „კამპ ნოუზე“ მომავალი ორი სეზონის განმავლობაში ითამაშებს და წლიურად 2 მილიონი ევროთი შეივსებს ბიუჯეტს. ამგვარად, სკანდინავი ვეტერანი ბრაზილიელ ბელეტისა და ფრანგ ლუდოვიკ ჟიულის შემდეგ მესამეა, ხუან ლაპორტამ რომ შეიძინა.

ჰენრიკი, მისი მეუღლე მაგდალენა, შვილი ჯორდანი და საფეხბურთო აგენტი რობ იანსენი ბარსელონაში ლისაბონიდან 29 ივნისს ჩაფრინდნენ. იმავე დღეს შვედმა „ბარსას“ მთავარი ექიმის, ადრევოლის მეთვალყურეობით სამედიცინო შემოწმება გაიარა. ასაკის მიუხედავად, შვედი ბრწყინვალე ფიზიკურ ფორმაშია, რითაც ყველა განაცვიფრა: „წლოვანებასთან შედარებით მას გაცილებით ახალგაზრდა და ჯანმაგარი ორგანიზმი აქვს. ყველანაირი ტესტი წარმატებით გაიარა. გარწმუნებთ, რომ ლარსონი მზად არის, „ბარსას“ ფეხბურთელი გახდეს“ — განაცხადა დოქტორმა ადრევოლმა.

გუშინ კი სკანდინავი მეგოლე გუნდის ქომაგობას ოფიციალურად წარუდგინეს. ლარსონი ესპანეთში მე-17 ნომრით ითამაშებს და არა 7-ით ან 11-ით, როგორც გლაზგოს „სელტიკსა“ და ქვეყნის ნაკრებში ბურთაობდა. თუმც თავის დროზე, შვედური კარიერის ჟამს, „ჰელსინბორგში“ ლარსონის მაისურას სწორედ 17 ამშვენებდა.

„ბარსა“ ძალიან მომწონს, ფანტასტიკური კლუბია, დიდი წარსულისა და ასევე დიდი მომავლის მქონე. ყოველთვის მინდოდა, „კამპ ნოუს“ მობურთალი ვყოფილიყავი. იმედი მაქვს, რაიმე გაუთვალისწინებელი პრობლემები ხელს არ შემიშლის და მეც ესპანეთის ჩემპიონატში კარგად თამაშს მოვახერხებ“ — თქვა ჰენრიკმა ჟურნალისტებთან შეხვედრისას.

ლადო ხომერიკი

იების სურნელი პირველ სერიაში

ფლორენციამ მონდონიკოს ენდო

„ფიორენტინას“ მწვრთნელ ემილიანო მონდონიკოს ამაგი დაუფასეს და კონტრაქტი გაუხანგრძლივეს. ფლორენციელები სერია **A**-ში სწორედ მისი თავკაცობით დაბრუნდნენ.

მონდონიკომ გუნდი გასულ თებერვალში ჩაიბარა, როცა „იები“ სერია **B**-ს მაჩანჩალებში გაერივნენ. 57 წლის მწვრთნელმა „ფიორენტინა“ სამ თვეში მეექვსე ადგილზე წამოასკუპა და პლეი ოფში გაიყვანა, სადაც „პერუჯას“ ორი მატჩის ჯამში სძლიეს.

იტალიური მედია ვარაუდობდა, რომ ფლორენციულ გუნდს „ინტერიდან“ გათავისუფლებული ალბერტო ძაკერონი გაწვრთნიდა, მაგრამ ახალი კონტრაქტის გაფორმებამ ჭორები მოსპო. ემილიანო მონდონიკომ განაცხადა: „მადლობელი ვარ ყველა გულშემატკივრის, რომლებიც „ფიორენტინას“ ორი წლის განმავლობაში ქომაგობდნენ. მე კვლავაც ისე გულიანად ვიმუშავებ, როგორც განვლილი სამი თვის მანძილზე“.

მონდონიკომ სერია **A**-ში აქამდე ორჯერ „ატალანტა“, თითოჯერ კი „კრემონეზე“ და „ტორინო“ გადაიყვანა. ამ უკანასკნელმა 1992 წელს უძლიერესთა სერიაში მესამე ადგილი დაიკავა.

ვაჟა ხუციშვილი



შემჩნეულია ფურთხებაში

დავიდ ტრეზეგემ ჟაკ სანტინის შესახებ აზრი მიფურთხებით გამოთქვა. შეგახსენებთ, რომ საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელი იმთავითვე ლონდონის „ტოტენჰემ ჰოთსპურთან“ იყო გარიგებული და ახლა, „ლურჯების“ ევრო 2004-იდან გასავარდნის შემდეგ უკვე ახალ სამსახურში უნდა მივიდეს.

როგორც ჩანს, „იუვენტუსის“ ფორვარდი საბერძნეთის ნაკრებთან მეოთხედფინალურ შეხვედრაში შეცვლამ აღაშფოთა — სანტინიმ მის ნაცვლად „მანჩესტერ იუნაიტედის“ თავდამსხმელი ლუი საა საფინალო სასტვენამდე 18 წუთით ადრე შეიყვანა მოედანზე, ჰოდა, ტრეზეგეს, მოედანს რომ ტოვებდა, მწვრთნელისთვის მიუფურთხედია, რაც იქვე მდგარ ტელეოპერატორს არ გამოპარვია და ფირზეც აღუბეჭდავს.

პაპუნა კედია

ბენიტო ფლორომ ესპანეთი დასურულ ზონად გამოაცხადა

ევრო 2004-ზე ჩავარდნის შემდეგ ესპანეთის ეროვნული გუნდი უმწვრთნელოდ დარჩა — ინაკი საესმა თანამდებობა დათმო და ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციაც ახალი მწვრთნელის ძიებას შეუდგა. კანდიდატურა რამდენიმეა, მათ შორის წინა სეზონში „ვილიარეალის“ თავკაცი ბენიტო ფლორო, ვინც სპორტულ მედიასთან საუბრისას ესპანეთის ნაკრების წარუმატებლობის ერთ-ერთ მიზეზად პრიმერადივიზიონში უცხოელ ვარსკვლავთა მოზღვავებას ასახელებს. ფლოროს მადრიდული „ასის“ კორესპონდენტი ესაუბრა

— ფედერაციიდან ესპანეთის ნაკრების თაობაზე უკვე დაგიკავშირდნენ?

— არა, ჯერჯერობით ამის შესახებ საქმიანი საუბარი არ გვქონია.

— თუმც სხვადასხვა ინფორმაციით, ეროვნული გუნდის მწვრთნელობის ერთ-ერთი რეალური კანდიდატი ხართ...

— მოდით, წინასწარ ნურაფერს ვიტყვით. უმჯობესი იქნება, ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებას დაველოდოთ.

— კეთილი. მაშინ ასე გკითხავთ — თქვენი აზრით, რა უნდა გაკეთდეს, რომ ესპანეთის ნაკრებმა ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე გაიმარჯვოს?

— გამიძნელდება ამაზე პასუხის გაცემა. ჩვენ ხომ უკვე ორმოცი წელია, რაც არაფერი მოგვიგია — აუცილებლად უნდა შევურიგდეთ იმ აზრს, რომ რაღაც ფაქტორები, რომლებიც დღევანდელ დღემდე დადებითად მიიჩნეოდა, ესპანური ფეხბურთის განვითარებაში უარყოფით როლს ასრულებს.

— რას გულისხმობთ?

— ჩვენი ქვეყანა მსოფლიოს საფეხბურთო ვარსკვლავთა იმპორტიორად ქცევამ სასტიკად დააზარალა. ზუსტად ამ „გალაქტიკური“ ეიფორიის გამო უფრო მნიშვნელოვანს, ანუ ეროვნულ ნაკრებს ნაკლები ყურადღება ეთმობა. ვფიქრობ, სიტუაცია არც მომავალში შეიცვლება. ამიტომ სჯობს გამოსავალი სხვამხრივ ვეძიოთ.

— საკმაოდ ბუნდოვნად გვიხსნით. ნაკრების სათავეში საესის ნაცვლად სხვა დამრიგებლის დანიშვნა თუ იქნება გამოსავალი?

— მწვრთნელს ფეხბურთელებმა და გარემო პირობებმაც ხელი უნდა შეუწყონ. რატომღაც ახლა ყველა ფიქრობს, რომ ევრო 2004-ზე ჩვენი გუნდის ჩავარდნა ოდენ ინაკი საესის ბრალია. მე კი სულ სხვაგვარად გეტყვით — ესპანეთში სამწვრთნელო პრობლემა არ არსებობს. ვისაც ვიცნობდი, ვილიალონგადან საესამდე, ყველანი შესანიშნავი დამრიგებლები იყვნენ.

— სპორტული მედიის აზრით, საესის ნაკრები პორტუგალიაში ნაკლებად შეთამაშებული ჩავიდა — კუთხურებისა თუ სხვა სტანდარტული მდგომარეობის დროს უმწეოდ გამოიყურებოდნენ...

— რომელ შეთამაშებულობაზე მეუბნებით? ფეხბურთელთა უმეტესობა თავიანთ კლუბებშიც კი, სადაც ამისთვის უზარმაზარი დრო აქვთ, კუთხურისა და ჯარიმის რიგიანად შესრულებაზე დიდხანს წვალობენ. ახლა თქვენ წარმოიდგინეთ ნაკრები, სადაც მწვრთნელმა დროის შეუდარებლად მცირე მონაკვეთში უნდა უზრუნველყოს სტანდარტული მდგომარეობის შედეგიანობა. საერთოდ კი, უფრო უკეთესი იქნება, ყველაფერს ახალგაზრდული შემადგენლობის განსწავლით თუ დავიწყებთ, ეს აუცილებლად წარმატებებს მოგვიტანს.

— იმ გუნდებს, რომლებსაც თქვენ თავკაცობდით, ერთხელ არჩეული სისტემისადმი ერთგულება ემჩნეოდათ. ბენიტო ფლოროს ნაკრებში სისტემა იქნებოდა მთავარი თუ თავად ფეხბურთელები?

— უპირველეს ყოვლისა, ნაკრებს, ისევე როგორც ნებისმიერ სხვა გუნდს, წესრიგი სჭირდება. წესრიგი კი კარგ საფეხბურთო სისტემაზეა დამოკიდებული. თუ ფეხბურთელი კარგია, ჭკვიანურ სისტემას ალღოს იოლად აუღებს.

— დასასრულს, ნაკრების ლიდერზეც ვილაპარაკოთ. რაულს ბევრი აკრიტიკებს. თქვენც მათ აზრს იზიარებთ?

— მე ადრე ვთქვი, რომ არსებობს ფეხბურთელთა ერთი კატეგორია, რომელთაც თამაშის უფლება აქვთ და მეორე, რომელთაც, მათი ოსტატობიდან გამომდინარე, აუცილებლად უნდა ითამაშონ. რაული ამ უკანასკნელთა რიცხვს განეკუთვნება და, სხვათა შორის, ევროთასზეც სხვაზე უარესად არ გამოსულა.



საფრანგეთი გაიხლიჩა

ანრიმ არსენალელები ზიდანს აუჯანყა

ესეც ახალი ამბავი — საფრანგეთის ნაკრებში დიდი განხეთქილება ყოფილა, ფრანგი წყაროები ასე ამტკიცებენ. გაზეთი „პარიზიენი" წერს, არსენალელი ფრანგები, ტიერი ანრი, რობერ პირესი და პატრიკ ვიეირა სულაც ზინედინ ზიდანის ნაკრებიდან მოკვეთას ითხოვენო.

საქმე კი ის ყოფილა, რომ ანრის თურმე არ მოსწონს, ნაკრების თამაში ზიდანის გარშემო რომ არის აგებული. „არსენალის" ფორვარდს თავად მონდომებია ნაკრების ლიდერობა. როგორც ამტკიცებენ, ანრიმ მაგრად იმუშავა, ზიდანს ბოლო კონფედერაციათა თასზე რომ არ ეთამაშაო. თუმცა, როგორ და რა ხერხებით, ამას აღარ განმარტავენ.

ამ ევროპის ჩემპიონატზე კი ნაკრები ორ ბანაკად ყოფილა გაყოფილი. ერთ ნაწილს, რომელსაც ბიქსენტ ლიზარაზუ მეთაურობდა, სურდა, რომ მარსელ დესაის არყოფნაში კაპიტნის სამკლავური ზიდანს კეთებოდა, არსენალელებს კი ვიცე-კაპიტნად პატრიკ ვიეირა ეგულებოდათ. არსენალელების თქმით, ზიდანმა სამკლავური უბრალოდ, მიითვისა, თორემ გუნდის ლიდერი აღარ იყოო.

კოტე კეკელია

ოჯახის მეკარე

ჯანი სიყვარულში ჩაიძირა

გერმანიის ნაკრებისთვის ევროჩემპიონატი ნაადრევად დასრულდა და ოლივერ კანმა პირველ სიყვარულს, სიმონას მიაშურა, რომელთანაც ორი შვილი ჰყავს.

კანების ოჯახი მიუნხენთან ახლოს, გრიუნვალდში მდებარე აგარაკზე ისვენებს და ნაჩხუბრობისა არაფერი ეტყობათ. მოკლედ, ისე არიან, როგორც ყველი და პური.

წყვილი მოგვიანებით მიუნხენის უპრესტიჟულეს უბანში უნახავთ. ცოლ-ქმარი სილამაზის სალონში შესულან. „ოლი" ახლებურად თმაშეკრეჭილი გამოსულა და წლინახევრის დევიდისთვისაც თმები მამასავით შეულამაზებიათ.

სიმონას, ოლივერს მეოდე, მაღაზიაში შეუვლიათ გოლფის სათამაშო ატრიბუტების საყიდლად. სიამტკბილობაში ჩაძირულ მეკარეს საკუთარი „მერსედესი" გზის პირას არასწორად გაუჩერებია, რისთვისაც დაუჯარიმებიათ კიდეც.

ოლივერ კანს ჟურნალისტებმა ჰკითხეს, ოჯახის გამო სანაკრებო კარიერის დასრულებას ხომ არ აპირებთო, რაზეც ბაიერნელმა მიუგო, 34 წლის ფრანკ დე ბური თუ თამაშობს, მე რატომ ვერ შევძლებ კარში დგომასო. თან დასძინა, ორიოდ ცენტის საშოვნელად, არ გამოვრიცხავ, ყატარის გზასაც დავადგეო.

ვაჟა ხუციშვილი

მონაკო უძრავი ქონება გახდა

სვარამ სამთავრო ჰასტორს გადაულოცა

„მონაკოს" ახალი პრეზიდენტი ჰყავს — უძრავი ქონებით მოვაჭრე მიშელ პასტორი. ეს ამბავი გუშინ ოფიციალურად გაცხადდა. ყოფილმა პრეზიდენტმა პიერ სვარამ კაბინეტი 61 წლის ბიზნესმენს დაუთმო, თავად კი თქვა, რომ კლუბის ფინანსური მდგომარეობა ერთ წელიწადში საგრძნობლად გაუმჯობესდა და ამით ჩემი მისია ამოვწურეო. „ლოგიკურია, რომ კლუბის სათავეში მე მოვედი" — განაცხადა პასტორმა, რომელმაც ინვესტორთა ჯგუფთან ერთად „მონაკოში" ფულის დაბანდება განიზრახა.

პიერ სვარამ შარშან ჟან-ლუი კამპორა შეცვალა, რადგან კამპორას ხელში გუნდს 60 მილიონ ევრომდე ვალი დაუგროვდა და მეორე დივიზიონში დაქვეითებას უპირებდნენ.

„ჩვენ ჩემპიონატში მესამე ადგილზე გავედით, ჩემპიონთა ლიგის ფინალში გავაღწიეთ, ვალებიც თითქმის სრულად გავისტუმრეთ და იმედი მაქვს, რომ ამიერიდან კლუბი უკეთესობისკენ ივლის" — აღნიშნა ყოფილმა პრეზიდენტმა.

მიშელ პასტორის მიზანი „მონაკოს" ხელახლა შევსება და გაძლიერებაა. შეგახსენებთ, რომ გუნდიდან ლუდოვიკ ჟიული („ბარსელონა") და ჟერომ როტენი (პსჟ) წავიდნენ, ხოლო ერთი წლით ნათხოვარი ფერნანდო მორიენტესი ალბათ, მადრიდის „რეალში" დაბრუნდება.

ვაჟა ხუციშვილი

ვინ აცდუნებს რუნის?

„ევერტონის" უფროსობა უეინ რუნისთან ახალი კონტრაქტის გაფორმებას ჩქარობს და არც გაემტყუნება. რუნის ფასმა ამ ევროპის ჩემპიონატის დღეებში საგრძნობლად მოიმატა და მისი ხელში ჩაგდების მსურველები თვით „მანჩესტერ იუნაიტედი" და „ჩელსი" არიან. რუნის ახალ კონტრაქტზე ხელი რომ მოაწერინონ, ევერტონელებს ჯიბეზე ხელის გაკვრა მოუწევთ. კლუბის თავმჯდომარე ტრევორ ბირჩი რუნის ყოველკვირეულ ჯამაგირად 15 ათას გირვანქას სთავაზობს. თავმჯომარეს კვერს უკრავს მენეჯერი დევიდ მოიესიც და ამბობს, მე ამ გუნდში იმიტომ არ ვარ, საუკეთესო ფეხბურთელები გავყიდოთო.

ისიც ითქვა, თუ რუნი მაინც ცდუნდა სხვა დიდ კლუბთა მიწვევებით, მისი საფასურის გადამხდელი რომან აბრამოვიჩის გარდა არავინ არისო. ამის პასუხად კი სერ ალექს ფერგიუსონმა თქვა, თუ საჭრო შეიქნა, „მანჩესტერიც" მოიძიებს ფულსო.

ამასობაში კი თავად რუნიმ ბოდიში მიიღო პორტუგალიელი ჟორჟე ანდრადესგან, ვინც შეჯახებისას დააშავა და ერთი თვით ჩამოაცილა ფეხბურთელს. ეგეთი ტრავმა მეც მიმიღია და ძალიან ვწუხვარ რუნის გამოო, თქვა ანდრედემ.

კოტე კეკელია



ფორფელდერისგან ჰიცფელდი გამოწურეს

პრეზიდენტი ჰენეზეც თანახმაა

გერმანიაში ჩატარებულმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ გულშემატკივართა 59 პროცენტი ოტმარ ჰიცფელდის გამწვრთნელებას ემხრობა. ევრო 2004-ზე ჯგუფში ჩარჩენის მიუხედავად, მხარდამჭერები რუდი ფიოლერსაც გამოუჩნდნენ, გამოკითხულთა 32 პროცენტი მის დაბრუნებას ითხოვს, მაგრამ ცხადია, ეს აღარ მოხდება.

გერმანიის ფსიქოლოგთა ასოციაციამ კი ქვეყნის საფეხბურთო კავშირს ურჩია, გუნდში ვითარების გასაჯანსაღებლად ფსიქოლოგი აიყვანეთო.

საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტ გერჰარდ მაიერ-ფორფელდერს გუშინ ვიცეპრეზიდენტთან საკმაოდ დაძაბული საუბარი ჰქონდა. ფორფელდერი რამდენიმე საათის განმავლობაში კავშირის სხვა წევრებმაც კითხვებით გაწურეს, რადგან სწორედ მას მოეთხოვება პასუხი ახალი მწვრთნელის დანიშვნაზე და ქვეყნის საფეხბურთო მეურნეობაში არსებულ მდგომარეობაზე.

სხდომიდან გამოსულმა პრეზიდენტმა განაცხადა: „ოტმარ ჰიცფელდი მწვრთნელობაზე დაგვყაბულდება. მე მსურს, რომ მან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმოს კავშირთან. ჰიცფელდს ნაკრებში მისი ბაიერნელი თანაშემწის, მიხაელ ჰენკეს აყვანაზეც დავთანხმდებით, რადგან ერთად მუშაობის დიდი გამოცდილება აქვთ".

ვაჟა ხუციშვილი



სარბიელი: კრიკეტი

წარმოგიდგენთ

ევროპის ჩემპიონატი 2004. ჯგუფური ეტაპი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		1 ივლისი						
22.45	030	ჩეხეთი-საბერძნეთი	1,65	3,3	5,3	1,1	1,25	2,03

I ტაიმის შედეგი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		1 ივლისი						
5030		ჩეხეთი-საბერძნეთი	2,1	2,15	5,0	1,06	1,47	1,5

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		შვედეთი. სუპერლიგა. XIII ტური						
		1 ივლისი						
19.30	462	ბოდენსი-ოპერა	2,35	3,2	2,6	1,35	1,23	1,43
		3 ივლისი						
18.00	463	ბრაგე-ფრიოლუნდა	3,3	3,2	2,0	1,62	1,24	1,23
18.00	464	ბრომაპოიკარნა-ფრისკა	1,5	3,6	5,6	1,05	1,18	2,19
18.00	465	გეფლე-ვესტეროსი	1,5	3,6	5,6	1,05	1,18	2,19
18.00	466	ატვიდაბერგი-იოსტერსი	2,45	3,2	2,45	1,38	1,22	1,38
18.00	467	ენჩიოპინგი-ჰეკენი	3,5	3,3	1,85	1,69	1,21	1,18
20.00	468	ასირისკა-ფალკენბერგი	1,55	3,6	5,0	1,08	1,18	2,09
20.00	469	ნორჩიოპინგი-გაის	1,8	3,3	3,6	1,16	1,19	1,72
		ნორვეგია. ტიპელიგა. XIV ტური						
		4 ივლისი						
18.00	470	ლინი-მოლდე	1,85	3,3	3,6	1,18	1,22	1,72
18.00	471	ბოდიო გლიმტი-ვოლერენგა	2,35	3,2	2,7	1,35	1,25	1,46
18.00	472	სტაბეკი-ოდ გრენლანდი	2,25	3,3	2,8	1,33	1,24	1,51
18.00	473	ვიკინგი-ტრომსიო	2,15	3,3	3,0	1,3	1,25	1,57
18.00	474	ჰამარი-სოგნდალი	2,0	3,3	3,3	1,24	1,24	1,65
18.00	475	ფრედრიკსტადი-ლილესტრიომი	3,3	3,3	2,0	1,65	1,24	1,24
		5 ივლისი						
21.00	476	ბრანი-რუსენბორგი	3,5	3,4	1,85	1,72	1,21	1,19
		ნორვეგია. I დივიზიონი. XV ტური						
		4 ივლისი						
18.00	479	ალესუნდი-მოსი	1,45	4,2	5,3	1,07	1,13	2,34
18.00	480	ჰაუგესუნდი-კონგსვინგერი	2,3	3,6	2,4	1,4	1,17	1,44
18.00	481	ჰიოდი-ვარდ ჰაუგესუნდი	1,5	4,0	5,0	1,09	1,15	2,22
18.00	482	მანდალი-სანდეფიორდი	2,8	3,6	2,05	1,57	1,18	1,3
18.00	483	პორს გრენლანდი-ბრინი	2,5	3,6	2,2	1,47	1,17	1,36
18.00	484	სკეიდი-ჰიონეფოსი	2,1	3,6	2,7	1,32	1,18	1,54
18.00	485	სტრიომსგოდსეტი-სტარტი	3,1	3,6	1,9	1,66	1,17	1,24
18.00	486	ტრომსდალენი-რაუფოსი	2,7	3,8	2,0	1,57	1,14	1,31
		ფინეთი. ვეიკაუსლიგა. XI ტური						
		1 ივლისი						
19.00	490	ლაჰტი-იარო	1,65	3,4	4,6	1,11	1,21	1,95
19.30	491	ჰიკ-ჰაამეენლინა	1,25	4,6	9,0	1	1,09	3,04
19.30	492	მიუპა-ჰაკა	2,6	3,2	2,35	1,43	1,23	1,35
19.30	493	ტპ 47-როვანიემი	1,75	3,3	4,0	1,14	1,21	1,8
19.30	494	ტურკუ-ჯაზი	1,65	3,4	4,6	1,11	1,21	1,95
		ირლანდია. პრემიერლიგა. XIX ტური						
		2 ივლისი						
22.30	508	უოტერფორდი-დროგედა	2,05	3,1	3,3	1,23	1,26	1,59
22.45	509	შელბურნი-შემროკი	1,65	3,2	4,8	1,08	1,22	1,92
22.45	510	სტ.პატრიკსი-დერი	1,9	3,1	3,6	1,17	1,24	1,66
		3 ივლისი						
22.30	511	ლონგფორდი-ბოჰემიანი	3,1	3,1	2,1	1,55	1,25	1,25
		რუსეთი. პრემიერლიგა. XIV ტური						
		3 ივლისი						
16.00	514	როსტოვი-ზენიტი	2,9	3,0	2,3	1,47	1,28	1,3
16.00	515	როტორი-რუბინი	2,4	2,9	2,8	1,31	1,29	1,42
16.00	516	სატურნი-ამკარი	1,6	3,3	5,3	1,07	1,22	2,03
16.00	518	კრილია-კრილია	1,6	3,3	5,3	1,22	1,22	2,65
16.00	519	ყუბანი-დინამო	2,6	2,8	2,6	1,34	1,3	1,34
16.00	520	ცსკა-ტორპედო	2,1	3,1	3,2	1,25	1,26	1,57
		ბრაზილია. სერია A. XII ტური						
		3 ივლისი						
23.00	523	ატლეტიკო პრ-ჟუვენტუდი	1,75	3,1	4,4	1,11	1,25	1,81
23.00	524	ფიგეირენსე-ვასკუ და გამა	1,6	3,4	5,0	1,08	1,21	2,02
23.00	525	ინტერნასიონალი-კრიციუმა	1,75	3,2	4,2	1,13	1,23	1,81
23.00	526	სან პაულუ-პონტე პრეტა	1,7	3,2	4,6	1,11	1,24	1,88
24.00	527	ვიტორია-გოიასი	1,75	3,2	4,2	1,13	1,23	1,81
01.00	528	ფლუმინენსე-გრემიო	1,85	3,2	3,6	1,17	1,22	1,69
01.00	529	გუარანი-ატლეტიკო მნ	2,0	3,1	3,4	1,21	1,25	1,62
		4 ივლისი						
23.00	530	პარანა-პალმეირასი	2,4	3,0	2,7	1,33	1,27	1,42
23.00	531	სან კაეტანო-ბოტაფოგო	1,35	4,0	7,5	1	1,14	2,6
23.00	532	კორინთიანსი-სანტოსი	2,4	3,0	2,7	1,33	1,27	1,42
01.00	533	კრუზეირო-კურიტიბა	1,5	3,5	6,0	1,04	1,2	2,21
01.00	534	ფლამენგო-პაისანდუ	1,7	3,3	4,4	1,12	1,22	1,88
		შვედეთი. თასი. 1/8 ფინალი						
		2 ივლისი						
21.00	543	იურგორდენი-სუნდსვალი	1,5	3,6	5,6	1,05	1,18	2,19
21.00	544	ჰალმსტადი-იორებრო	1,55	3,6	5,0	1,08	1,18	2,09
		ლიბერტადორესის თასი						
		1 ივლისი						
04.15	547	ონსე კალდასი-ბოკა ხუნიორსი	2,45	3,1	2,5	1,36	1,23	1,38

ფორმულა 1 (საფრანგეთი). 3 ივლისი (12.00).

8001 გამარჯვებული		8201 ექვსეული		8301 შსწრ. წრე
მ.შუმახერი	1,35	1,05	1,02	1,4
ბარიჩელო	6,0	1,6	1,07	4,0
მონტოია	10,0	2,0	1,15	6,0
ჟენე	25,0	5,6	1,3	12,0
კულტჰარდი	40,0	9,0	1,5	25,0
რაიკონენი	25,0	6,0	1,35	15,0
ტრული	12,0	2,8	1,17	8,0
ალონსო	11,0	2,4	1,15	7,0
ბატონი	8,0	1,75	1,12	6,0
სატო	15,0	3,0	1,2	12,0
ფიზიკელა	100,0	25,0	3,5	40,0
მასა	150,0	30,0	4,0	50,0
უებერი	100,0	25,0	3,5	40,0
კლიენი	150,0	30,0	4,0	50,0
და მატა	150,0	30,0	4,0	50,0
პანისი	150,0	30,0	4,0	50,0
ჰაიდფელდი	250,0	50,0	7,0	75,0
პანტანო	300,0	50,0	7,0	75,0
ბრუნი	500,0	100,0	12,0	100,0

შემდეგ ეტაპზე გასვლა

1 ივლისი		
7030 ჩეხეთი-საბერძნეთი	1,27	3,0

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე წსონი წაგებულად ჩაითვლება)

1 ივლისი		
5430 ჩეხეთი-საბერძნეთი	1,5	2,6

1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო.	1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
1 ივლისი									
5130 ჩეხეთი-საბერძნეთი	2,3	10,0	25,0	3,5	4,8	9,0	20,0	10,0	8,0

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

	I-ში	თანაბრად	II-ში
1 ივლისი			
5530 ჩეხეთი-საბერძნეთი	3,0	2,8	2,0

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

	კი	არა
1 ივლისი		
5330 ჩეხეთი-საბერძნეთი	1,7	1,9

რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

1 ივლისი		
5230 ჩეხეთი-საბერძნეთი	1,65	1,95

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაააზუსტეთ

Sempione Cup 2004 შვეიცარია

175 წლის მერე შეზანზარდა

ხვირხველიამ მარჯვენა მოიმარჯვა

შვეიცარიის საკურორტო ქალაქ ბალშტალიდან დინამოელები უკან, რუიტში დაბრუნდნენ. იქ ორ დღეს დარჩებიან და მორიგი 4-საათიანი მგზავრობის შემდეგ შვეიცარიას 2 ივლისის საღამოს ეწვევიან. „ბაზელის“ ძლევამ „დინამოსადმი“ ინტერესი მნიშვნელოვნად გაზარდა. „სემპიონე კაპს“, როგორც წესი, არასოდეს აკლდნენ ევროპული კლუბების სკაუტები.

სხვათა შორის, მატჩის წინა ღამეს ამ კოხტა შვეიცარიული ქალაქის სტუმრები 5-ბალიანმა მიწისძვრამ გააღვიძა. შვეიცარია სეისმურ ზონაში არ მდებარეობს და ბოლოს იქ მიწისქვეშა ბიძგები 175 წლის წინათ იგრძნეს.

ქართველებმა კი მართლაც კარგად ითამაშეს და შვეიცარიელთა ტაშიც დაიმსახურეს. საუკეთესოდ დავით ხვირხველია დასახელებულა, ვინც გუშინ ჩვენს კითხვებსაც უპასუხა...

— ანგარიში შენი და თანაც ლამაზი გოლით გაიხსნა...

— ისე, გოლი მართლაც ლამაზი გამოვიდა, რამდენიმე მეტოქე ჩამოვიცილე და საჯარიმოს მისადგომიდან მთელი ძალით დავარტყი. ის უფრო გამიხარდა, რომ ეს ჩემთვის უჩვეო მარჯვენა ფეხით გავაკეთე. როგორც ჩანს, ამ ფეხით დარტყმასაც ვეჩვევი, ესენგეზეც ხომ მარჯვენათი გავიტანე ფინალში.

— „ბაზელის“ ძლევა სახუმარო საქმე არ არის, როგორი თამაში იყო?

— სანახაობრივი და ღია ფეხბურთი გამოვიდა. თამაში ახალი დაწყებული იყო, რომ „ბაზელის“ ფეხბურთელი ზოიძესთან პირისპირ გავიდა, დაურტყა კიდეც, მაგრამ ირაკლიმ უძნელესი ბურთი აიღო. მერე შვეიცარიელთა კართან იმდენი მომენტი შეიქმნა, ერთხელ მაინც აუცილებლად უნდა გვეხეირა. იაშვილს, მელქაძეს, ახალაიას ასპროცენტიანი მომენტები ჰქონდათ. ახალაიას თამაში გამოსარჩევიც კია, თავისი ფლანგი ისე აიკლო, ბოლოს მაისურაც შემოახიეს. გოლიც ძალიან ლამაზი გაიტანა. მეორე ტაიმში თითქოს ჩვენ უფრო უნდა გაგვჭირვებოდა, მაგრამ პირიქით, შვეიცარიელები დაიღალნენ. მატჩის ბოლოს სამჯერ ოთხი სამის წინააღმდეგაც დავრჩით მათ საჯარიმოსთან.

— „ბაზელს“ შვეიცარიის ნაკრების ფეხბურთელები აკლდნენ, თუმცა ჩემპიონთა ლიგის მონაწილე 6 ფეხბურთელი მაინც ჰყავდათ. რით ახსნი მათ სუსტ თამაშს?

— რაკი ახლა მოსამზადებელი პერიოდია, ალბათ დიდი ფიზიკური დატვირთვები თამამობენ. ასეთი რამ ევროპელებისთვის ჩვეულებრივი ამბავია, თუმცა ორი ახალი მცველიც ჰყავდათ, რომლებშიც 3 და 4 მილიონი ევრო ჰქონდათ გადახდილი, მაგრამ მათ ამ თანხის არაფერი ეტყობოდათ.

— საუკეთესო მოთამაშედ მიგიჩნიეს, ამ ტურნირზე კი საკმაოდ იყვნენ ევროპული კლუბების სკაუტები. შენით რომელიმე კლუბი ხომ არ დაინტერესებულა?

— მითხრეს, რომ „ბაზელის“ და ჩეხური „სპარტას“ წარმომადგენლები გაკვირდებიანო.

— „დინამოს“ ახალწვეულებიდან ვინ მოგეწონა?

— „ბაზელთან“, ვინც შეიძლება ახალწვეულად ჩაითვალოს, მხოლოდ კანკავამ ითამაშა და ძალიან მომეწონა. ბევრი ირბინა, იბრძოლა, თანაც ის ჯერ კიდევ ბავშვია. კაშია შუშაკის დროსაც გამოირჩეოდა და მისი კარგი თამაში არ გამკვირვებია.

— 3 ივლისს „იანგ ბოიზს“ ხვდებით, მათ თამაშს დაესწარით, როგორი შთაბეჭდილება დაგრჩა?

— ბუქარესტის „დინამომ“ მაგრად აჯობა, პირველ ტაიმში რუმინელებმა ძირითადი შემადგენლობა ათამაშეს და 2:0 მოუგეს. თუმცა შვეიცარიელები ახლა უფრო თავს მოიკლავენ, იციან, „ბაზელს“ მოვუგეთ და მათთვის პრესტიჟის საქმეა. „ბაზელთან“ როგორც ვითამაშეთ, ისეთი ფეხბურთით „იანგ ბოიზს“ იოლად უნდა ვაჯობოთ.

— თამაშის შემდეგ წინ და უკან მგზავრობა არ გღლით?

— მგზავრობა მართლაც დამღლელია, შვეიცარიამდე თითქმის ოთხ სააათს ვანდომებთ. ახლა გვეუბნებიან, რომ ავსტრიამდე კიდევ უფრო დიდი დრო დაგვეხარჯება. ეს ჩვენი შეკრების ერთ-ერთი წუნია, თორემ სხვა მხრივ ყველაფერი კარგადაა.

— ავსტრიულ ტურნირზე მეტოქეთა ვინაობა ხომ არ გარკვეულა?

— როგორც ვიცი, იქ „აუსტრია“ „ბრონდბიუ“ და „ბეშიქთაში“ ითამაშებენ.

— უეფას თასზე ბატეს ხვდებით, როგორ ფიქრობ, რა შანსები აქვს „დინამოს“?

— ძალიან ძნელი თამაში რომ იქნება, ამის თქმა ახლავე შეიძლება. ბელარუსები ფიზიკურად ძლიერად არიან მომზადებული, თანაც შინ თამაშობენ და ყველანაირად შეეცდებიან, იქვე გადაწყვიტონ შეხვედრის ბედი. მათ ჩვენს შესახებ ბევრი იციან. ესენგეს თასი მოვიგეთ, ახლა გაიგებენ, „ბაზელს“ მოუგესო და თავს დადებენ.

დავით ერაძე

+

წყალტუბოს „სამგურალისა“ და ზესტაფონის „მეტალურგის“ შეთანხმებას ოფიციალური სახე ვერა და ვერ მიეცა. იმერლებმა თითქმის ყველაფერზე კი მოილაპარაკეს, მაგრამ ამის ბეჭდიან ფურცელზე გადატანა რატომღაც გაუჯანჯლდათ.

მოკლედ შეგახსენებთ: „სამგურალი“ უმაღლესი ლიგის საგზურს ფლობს, თუმც პროფლიგის მოთხოვნებს ვერ პასუხობს და შეძლებულ „მეტალურგს“ შეეკრა, რომელსაც თავის მხრივ სხვა პრობლემა აწუხებს: ფულიანია და რეგიონალლიგის ნაცვლად უმაღლესში თამაში სურს.

რატომ არ დაადგა ამ გარიგებას საშველი, თავად წყალტუბოს მერს და „სამგურალის“ ვიცე-პრეზიდენტს მამუკა სალარეიშვილსაც ვერ გაუგია...

14 ივლისის მეშინია, პროფლიგის არა

ძალა ერთობაშია, მაგრამ ერთობას ბეჭედი უნდა

— ყველაფერზე შეთანხმებულები ვართ, მაგრამ იურიდიული დეტალების გაფორმებამ ბევრი დრო წაგვართვა. საქმეს სასიკეთო პირი კი უჩანს, თუმც უკვე დაგვიანების მეშინია.

— და რა არის ასეთი, რომ იურიდიულად ვერ გაფორმდა?

— რა ვიცი, ათასი რამეა გასათვალისწინებელი.

— პროფლიგამ განაცხადა, რომ უმაღლეს ლიგაში ადგილის ყიდვა-გაყიდვას არ დაუშვებს. ამან ხომ არ შეგაშინათ?

— არა. ჩვენ ადგილის გაყიდვაზე არც გვიფიქრია. „სამგურალი“ და „მეტალურგი“ გაერთიანებას აპირებენ, რაშიც შემაშფოთებელს ვერაფერს ვხედავ.

— და რომ დააგვიანოთ, რა მოხდება? სადამდე გაქვთ დრო?

— 14 ივლისამდე ყველაფერი უნდა მოვასწროთ. მერე უკვე აღარაფერი გვიშველის. თუმც იმედი მაქვს, საქმე იქამდე არ მივა.

კახა შალამბერიძე

გაჯიევმა გახოკიძის ფეხი არ გარისკა

ღუჭაშვილი გეხსომებათ, ხრიალიაში ისინჯება

ვასილ ღუჭაშვილს (№22) „კრილიაში“ დასარჩენად და თანაგუნდელებთან გასაშინაურებლად ბევრი შრომა დასჭირდება

გოგა გახოკიძით გაძლიერებულმა სამარის „კრილია სოვეტოვმა“ გუშინწინ ამხანაგური მატჩი გამართა პერმის „ამკართან“. სამარელებს გახოკიძე არ დახმარებიათ, თუმც ქართველი ფეხბურთელი მოედანზე მაინც გამოჩნდა, ოღონდ... ვასილ ღუჭაშვილი, ვინც საქართველოს 19 და 21-წლამდელთა ნაკრებებიდან გემახსოვრებათ. მან ომარ თეთრაძე 75-ე წუთზე შეცვალა.

დარჩება თუ არა ღუჭაშვილი „კრილია სოვეტოვში“, ძნელი სათქმელია. მწვრთნელები მას ერთ ამხანაგურ მატჩშიც გამოსცდიან და საბოლოო პასუხს მერეღა ეტყვიან.

ამხანაგური ჯახი კი 1:1 დასრულდა და მატჩისშემდგომ პენალტების სერიაში პერმელებმა 5:4 იძალეს.

რაც შეეხება გახოკიძეს, გაჯი გაჯიევმა მისი თამაში აღარ გარისკა, რადგანაც გოგას მცირე ტრავმა ჰქონია. ამგვარად, ჩვენებურმა სამარელი გულშემატკივრების გაცნობა ისევ ვერ მოახერხა.

შეგახსენებთ, რომ რუსეთის ჩემპიონატი 3 ივლისს განახლდება — „კრილია სოვეტოვი“ ვლადიკავკაზის „ალანიას“ უმასპინძლებს.

კახა შალამბერიძე

ტრირი ტირში ისვრის: თამაში ათიანმა უნდა აიღოს

საქართველოს ნაკრების 22 წლის ნახევარმცველი დავით სირაძე ახალ გუნდში უკვე მივიდა — მეორე ბუნდესლიგის ტრირის „აინტრახტი“ 25 ივლისს შეიკრიბა და რამდენიმე საკონტროლო მატჩიც ითამაშა. დანარჩენი ამბები კი თავად სირაძეს მოვაყოლეთ...

— აქედანვე ჩანს, რომ „ტრირი“ ჩემს ყოფილ გუნდ „უნიონზე“ უფრო ძლიერია. „ტრირში“ მწვრთნელ-ფეხბურთელებმა ძალიან თბილად მიმიღეს. კლუბმა ქალაქის ცენტრში ბინა გამომიყო და მანქანაც მომცა.

— ახლა ალბათ მეტწილად ფიზიკურად იტვირთებით?

— ეგრეა, ორჯერადი ვარჯიშები გვაქვს. დილით ტყეში დავრბივართ, საღამოს კი ბაზაზე ვვარჯიშობთ და აქცენტი ფიზიკურ მომზადებაზეა გადატანილი.

— საკონტროლო მატჩებიც გითამაშიათ...

— ჩვენზე გაცილებით დაბალი რანგის გუნდებს ვეთამაშეთ — 4:1 და 4:0 მოვიგეთ. ორივე შეხვედრაში პირველი ტაიმი ვითამაშე.

— რა პოზიციაზე გაგამწესეს?

— გამთამაშებლად და მეც ძალიან მომწონს ამ პოზიციაზე თამაში, რადგან ბურთთან ხშირად ვარ. „ტრირი“ უფრო ტექნიკურ ფეხბურთს თამაშობს, ვიდრე „უნიონი“. ჩვენმა მწვრთნელმა პაულ ლინცმა და ფეხბურთელებმაც მითხრეს, ათი ნომერი ხარ და თამაშის დროს საკუთარ თავზე რაც შეიძლება მეტი უნდა აიღოო.

— შეკრებას უცხოეთში არ გაგიგრძელებთ?

— 18 ივლისს ლუქსემბურგში წავალთ, მერე საფრანგეთში, მეორე ბუნდესლიგა კი 8 აგვისტოს იწყება. უცხოური შეკრებისას სხვათა გარდა ლუქსემბურგის ნაკრებს და „კაიზერსლაუტერნსაც“ უნდა ვეთამაშოთ.

— „ტრირის“ ლეგიონერებზე რას იტყოდი?

— ორი ხორვატი და ამდენივე სერბი გვყავს, კიდევ რუმინელი მარცხენა ნახევარმცველი კატალინ რაკანელი, ვისაც ყველაზე უფრო დავუახლოვდი.

— დამდეგ სეზონში „ტრირის“ მიზანი რა არის?

— გერმანული ენის შესწავლა ახლა უნდა დავიწყო და ჯერ ყველაფერი კარგად არ მესმის, მაგრამ ზოგადად „ტრირი“ ბუნდესლიგას უმიზნებს.

— გერმანიის ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე რომ ჩაფლავდა, ამაზე რას ამბობენ ტრირელები?

— გერმანელები ამბობენ, არ გაგვიმართლაო, მაგრამ ცოტა გაუგებარი კია, რა გამართლებაზე ლაპარაკობენ. პაულ ლინცმა კი ნაკრების წარუმატებლობის კონკრეტული მიზეზი დაასახელა — ძლიერი ფორვარდები აღარ გვყავსო.

დავით თავართქილაძე

დავით სირაძე რუმინელ კატალინ რაკანელს დაუმეგობრდა

ჯაკობიას ხარკი გოლია
მეტალისტამდე ორიც დარჩა

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი ლაშა ჯაკობია ხარკოვის „მეტალისტში“ ისინჯება. უკრაინელთა თავკაცს გენადი ლიტოვჩენკოს ამჟამად გუნდში სამი ახალწვეული ჰყავს, რომელთაგან ბრაზილიელმა რიბეიროთ კონტრაქტი უკვე გააფორმა, ჯაკობიასა და ლიტველი ასიტისის საკითხი კი ჯერჯერობით არ გადაწყვეტილა.

ბადრი ჯალილაძის ფოტო

ამ დღეებში „მეტალისტმა“ ორი ამხანაგური მატჩი გამართა მოყვარულთა ლიგის გუნდებთან. „სიგნალთან“ ჯაკობიამ სრულად ითამაშა და გოლიც გაიტანა, „მეტალისტმა“ 5:1 მოიგო. 5:0 მოგებულ მეორე მატჩში კი ჩვენებურს არ უთამაშია.

ხარკოველებს კიდევ ორი საკონტროლო აქვთ დაგეგმილი — 2 ივლისს ოდესის „ჩერნომორეცთან“ და 5 ივლისს „ნიკოლაევთან“. ლიტოვჩენკოც სწორედ ამ მატჩების შემდეგ გადაწყვეტს, დაიტოვოს თუ არა ჯაკობია.

შეგახსენებთ, რომ ლაშა ბოლოს ბერძნულ „იანინაში“ თამაშობდა, თუმც კლუბი ფინანსური კრიზისის გამო დატოვა.

ძახა შალამბერიძე



ბადრი ჯალილაძის ფოტო

ვალტერ გუჩუა დაბრუნდა

კოლხეთი ყოჩაღად გამოიყურება
ბულგარეთშიც მიდის და ევროპაც მიჭყავს

ხვალ ფოთის „კოლხეთი“ ბულგარულ კურორტ ალბენაში გაემგზავრება. კოლხებს ორკვირიანი შეკრება აქვთ დაგეგმილი და რამდენიმე ამხანაგურ მატჩსაც გამართავენ. ერთ-ერთი სპარინგ-პარტნიორი რუმინული კლუბი იქნება, თამაშის თარიღი ჯერჯერობით დაუზუსტებელია.

ალბენაში წასვლამდე კი, გუშინწინ, კოლხები „ბათუმს“ გაეჯიბრნენ და 4:0 დაამარცხეს. გოლები ქუთათელაძემ (30-ე წუთზე), შალამბერიძემ (53), ჭედიამ (75) და აკობიამ (84) გაიტანეს. მწვრთნელმა *დავით მახარაძემ* „ბათუმს“ ასეთი თერთმეტეული დუპირისპირა: ქვაჩახია, კილასონია, ჭითანავა, ქუტიძე, აკობია, ქობულაძე, თაყაძე, ჯ. შალამბერიძე, კუნჭულია, ქუთათელაძე, გ. თოდუა. მეორე ტაიმში კი შევიდნენ ჩემია, დ. ნარსია, მარგალიტაძე, ბარბაქაძე, ტყებუჩავა, ყურაშვილი, ჭედია, დოლბაია.

საახალსეზონოდ კოლხებს ოთხი ახალწვეული ჰყავთ: ქვაჩახიას, თოდუასა და ბარბაქაძის თაობაზე ადრეც გაუწყეთ, მეოთხე, ცხელი ტრანსფერი კი ვალტერ გუჩუაა.

— ერთი საათის წინ ყველაფერზე შევთანხმდით და გუჩუა ჩვენთან ითამაშებს. ძალიან მიხარია, რომ ასეთი გამოცდილი ფეხბურთელი დავიმატეთ — გვითხრა გუშინ დავით მახარაძემ.

ჩვენ კი შეგახსენებთ, რომ გუჩუამ ეს სეზონი ირანის მეორელიგელ „საბა ბათერში“ გაატარა და იქაურები კონტრაქტის გაგრძელებასაც სთავაზობდნენ, თუმც ვალტერმა საქართველოში დაბრუნება არჩია და ის „კოლხეთს“ შეუერთდა, „ბაბაც“ 2001-2002 წლების სეზონშიც უთამაშია, როცა ქუთაისის „ტორპედოდან“ გაანათხოვრეს.

ბოლოს იმ 23 ფეხბურთელის სიას გაგაცნობთ, დავით მახარაძეს ბულგარულ შეკრებაზე რომ მიჰყავს:

მეკარეები: *ქვაჩახია, ჩემია, შენგელია;*

მცველები: *კილასონია, ჭითანავა, ქუტიძე, აკობია, ქობულაძე, დ. ნარსია, ნ. ნარსია, გოროზია, ხურცილავა;*

ნახევარმცველები: *ჯ. შალამბერიძე, თაყაძე, კუნჭულია, დ. მარგალიტაძე, ბარბაქაძე, გუჩუა, ჭედია;*

თავდამსხმელები: *ზ. ქუთათელაძე, გ. თოდუა, ყურაშვილი, ტყებუჩავა.*

„კოლხეთის“ თავკაცის თქმით, გუნდი სწორედ ასეთი შემადგენლობით ითამაშებს მეთექვსმეტე ეროვნულ ჩემპიონატში — სატრანსფერო ორომტრიალი ფოთელთათვის ვალტერ გუჩუამ დახურა.

ძახა შალამბერიძე

ექვსგურჯიანი ხაზარი ინტერტოტოზე
ინტერნაციონალი და ალიევის შეღავათები

სად არ წასულა ქართველი ფეხბურთელი სათამაშოდ, მაგრამ ერთ გუნდში რომ ექვს ქართველს მოეყაროს თავი, ასეთი რამ ალბათ მხოლოდ აზერბაიჯანში თუ შეიძლება მოხდეს.

ბაქოს „ხაზარ უნივერსიტეტი“ — ასე ჰქვია გუნდს, რომელმაც ინტერტოტოს თასის პირველი ეტაპი გადალახა და რომელშიც ექვსი ჩვენებური თამაშობს — მეკარე თემურ ჩლაიძე, მცველი გოდერძი გოგოლაძე, ნახევარმცველები დავით ჩიგოშვილი და დავით დათვაძე, თავდამსხმელები არჩილ სოხაძე და ზაზა ზირაქიშვილი. ამათგან ორი, დათვაძე და ზირაქიშვილი საამსეზონოდ გადავიდნენ „ხაზარში“. 2000-01 წლების საქართველოს ჩემპიონატის ბომბარდირსა და საუკეთესო ფეხბურთელს ზაზა ზირაქიშვილს ბაქოში დავურეკეთ და ხაზარული ამბები გამოვკითხეთ...

ბადრი ჯალილაძის ფოტო

რით სჯობია ბაქო თბილისს

— აზერბაიჯანულმა გუნდმა ინტერტოტოზე ავსტრიული „ბრეგენცის“ ბარიერი გადალახა, თუმც „ხაზარს“ ძალიან გაუმართლა...

— პირველი მატჩი ავსტრიაში იყო და 0:4 წავაგეთ. მე განაცხადში არ ვყოფილვარ, არც სოხაძეს უთამაშია, მოედანზე ოთხი ქართველი იყო. მეორე ტაიმში ავსტრიელებმა შეცვლაზე ისეთი ფეხბურთელები ათამაშეს, საინტერტოტო განაცხადში რომ არ ჰყავდათ შეყვანილი და უეფამაც „ბრეგენცს“ ტექნიკური წაგება, 0:3 ჩაუთვალა.

— ბაქოში ავსტრიელებს 3:0-ის ან უფრო დიდი ანგარიშით მოგების იმედი გადაწურული ჰქონდათ?

— პირიქით, დიდი მონდომებით ითამაშეს, მაგრამ „ხაზარმა“ დაცვითი ტაქტიკა აირჩია და ამან გაამართლა კიდეც — 2:1 მოვიგეთ. ჩვენ ერთი ფორვარდით ვითამაშეთ — წინ მხოლოდ მე ვიყავი და თანაგუნდელები სამჯერ გავიყვანე მეკარესთან პირისპირ, მაგრამ საგოლე გადაცემა არც ერთი არ გამოდგა. მატჩის მიწურულს კი სოხაძემ შემცვალა და გამარჯვების გოლი მის თავურ პასს მოჰყვა.

— ბაქოს მატჩს ბევრი გულშემატკივარი დაესწრო?

— „ხაზარი“ ათიათასიან სტადიონზე თამაშობს და ის სავსე იყო. თანაც ხალხი ძალიან მაგრად გვგულშემატკივრობდა, ისე, როგორც ეს ევროპაში ხდება — ასეთ დროს ფეხბურთელი სულ ტონუსში ხარ. ევროტურნირები აზერბაიჯანში მაინც უცხო ხილია და ინტერესიც დიდია. ახლა ფინურ „ტამპერეს“ ვხვდებით — 4 ივლისს გასვლა გვაქვს, 11-ში კი შინ ვთამაშობთ. კლუბის ხელმძღვანელობა ძალიან მოწადინებულია, „ტამპერესთანაც“ წარმატებით რომ ვითამაშოთ და ნორმალურ პრემიებსაც გამოდის.

— ვინ არის „ხაზარის“ პატრონი?

— „ხაზარს“ ახალი მფლობელი ჰყავს — ბანკი „ინტერნაციონალი“. ხაზარის მეპატრონეებმა უკვე დაიწყეს ბაზის და სტადიონის მშენებლობა. აზერბაიჯანის პრეზიდენტის ილჰამ ალიევის განკარგულებით, ინვესტორები, რომლებიც ფეხბურთში დებენ ფულს, საგადასახადო შეღავათებით სარგებლობენ. ხაზარის მეპატრონეებსაც სერიოზული გეგმები აქვთ. დამდეგ სეზონში კი სამეულისთვის ვიბრძოლებთ.

— შენ როგორ მოხვდი „ხაზარში“?

— რეკომენდაცია ხაზარელებთან თემურ ჩლაიძემ გამიწია. თემურს 1991 წლიდან ვიცნობ, როცა თბილისის „დინამოში“ პირველად მივედი.

— ყველაზე მდიდარ კლუბად აზერბაიჯანში რომელი ითვლება?

— „ნეფთჩი“, თუმც „ხაზარსაც“ სერიოზული პატრონი გამოუჩნდა და ვნახოთ, რომელი იქნება ყველაზე ძლიერი კლუბი. ისე, აზერბაიჯანის ჩემპიონატში მეტწილად დედაქალაქის გუნდები თამაშობენ — თვრამეტიდან რვა გუნდი ბაქოსია.

— ინფრასტრუქტურა როგორია აზერბაიჯანულ კლუბებში?

— საქმისადმი მიდგომით და ორგანიზაციით ქართული კლუბები უფრო მაღალ დონეზე დგანან. აზერბაიჯანში საფეხბურთო მეურნეობას, ფაქტობრივად, ახლა აწყობენ. რაც შეეხება ლეგიონერებს, კლუბს აქ ხუთი ლეგიონერის გაყვანა შეუძლია თამაშზე.

— ცხოვრების დონე როგორია ბაქოში?

—საქართველოზე ოდნავ უკეთესი, რაც შეეხება ბაქოს და თბილისს, აზერბაიჯანის დედაქალაქი ჩვენსას წესრიგით და სისუფთავით ბევრად ჯობია.

დავით თავართქილაძე

საქართველოს ჩემპიონატი 16 კალენდარი

უმაღლესი ლიგა

პირველი წრე

პირველი ტური
23 ივლისი, პარასკევი
დინამო – თბილისი
24 ივლისი, შაბათი
ტორპედო – სიონი
სამგურალი – რუსთავი
ჯოლხეთი – ლოკომოტივი
ბათუმი – ქობულეთი
25 ივლისი, კვირა
დილა – ვიტ ჯორჯია

მეორე ტური
31 ივლისი, შაბათი
სიონი – ქობულეთი
ვიტ ჯორჯია – ბათუმი
ტორპედო – სამგურალი
1 აგვისტო, კვირა
რუსთავი – ჯოლხეთი
2 აგვისტო, ორშაბათი
თბილისი – დილა
ლოკომოტივი – დინამო

მესამე ტური
6 აგვისტო, პარასკევი
დინამო – რუსთავი
ბათუმი – თბილისი
7 აგვისტო, შაბათი
სამგურალი – სიონი
ჯოლხეთი – ტორპედო
დილა – ლოკომოტივი
8 აგვისტო, კვირა
ქობულეთი – ვიტ ჯორჯია

მეოთხე ტური
14 აგვისტო, შაბათი
ლოკომოტივი – ბათუმი
რუსთავი – დილა
სამგურალი – ჯოლხეთი
15 აგვისტო, კვირა
სიონი – ვიტ ჯორჯია
თბილისი – ქობულეთი
ტორპედო – დინამო

მეხუთე ტური
21 აგვისტო, შაბათი
ჯოლხეთი – სიონი
დინამო – სამგურალი
დილა – ტორპედო
ბათუმი – რუსთავი
ქობულეთი – ლოკომოტივი
ვიტ ჯორჯია – თბილისი

მეექვსე ტური
29 აგვისტო, კვირა
სიონი – თბილისი
ლოკომოტივი – ვიტ ჯორჯია
რუსთავი – ქობულეთი
ტორპედო – ბათუმი
სამგურალი – დილა
ჯოლხეთი – დინამო

მეშვიდე ტური
11 სექტემბერი, შაბათი
დინამო – სიონი
დილა – ჯოლხეთი
ბათუმი – სამგურალი
ქობულეთი – ტორპედო
ვიტ ჯორჯია – რუსთავი
თბილისი – ლოკომოტივი

მერვე ტური
15 სექტემბერი, ოთხშაბათი
სიონი – ლოკომოტივი
რუსთავი – თბილისი
ტორპედო – ვიტ ჯორჯია
სამგურალი – ქობულეთი
ჯოლხეთი – ბათუმი
დინამო – დილა

მეცხრე ტური
19 სექტემბერი, კვირა
დილა – სიონი
ბათუმი – დინამო
ქობულეთი – ჯოლხეთი
ვიტ ჯორჯია – სამგურალი
თბილისი – ტორპედო
ლოკომოტივი – რუსთავი

მეათე ტური
25 სექტემბერი, შაბათი
სიონი – რუსთავი
ტორპედო – ლოკომოტივი
სამგურალი – თბილისი
ჯოლხეთი – ვიტ ჯორჯია
დინამო – ქობულეთი
დილა – ბათუმი

მეთერთმეტე ტური
29 სექტემბერი, ოთხშაბათი
ბათუმი – სიონი
ქობულეთი – დილა
ვიტ ჯორჯია – დინამო
თბილისი – ჯოლხეთი
ლოკომოტივი – სამგურალი
რუსთავი – ტორპედო

მეორე წრე

მეთორმეტე ტური
3 ოქტომბერი, კვირა
სიონი – ტორპედო
რუსთავი – სამგურალი
ლოკომოტივი – ჯოლხეთი
თბილისი – დინამო
ვიტ ჯორჯია – დილა
ქობულეთი – ბათუმი

მეცამეტე ტური
7 ოქტომბერი, ხუთშაბათი
ქობულეთი – სიონი
ბათუმი – ვიტ ჯორჯია
დილა – თბილისი
დინამო – ლოკომოტივი
ჯოლხეთი – რუსთავი
სამგურალი – ტორპედო

მეთოთხმეტე ტური
16 ოქტომბერი, შაბათი
სიონი – სამგურალი
ტორპედო – ჯოლხეთი
რუსთავი – დინამო
ლოკომოტივი – დილა
თბილისი – ბათუმი
ვიტ ჯორჯია – ქობულეთი

მეთხუთმეტე ტური
23 ოქტომბერი, შაბათი
ვიტ ჯორჯია – სიონი
ქობულეთი – თბილისი
ბათუმი – ლოკომოტივი
დილა – რუსთავი
დინამო – ტორპედო
ჯოლხეთი – სამგურალი

მეთექვსმეტე ტური
27 ოქტომბერი, ოთხშაბათი
სიონი – ჯოლხეთი
სამგურალი – დინამო
ტორპედო – დილა
რუსთავი – ბათუმი
ლოკომოტივი – ქობულეთი
თბილისი – ვიტ ჯორჯია

მეჩვიდმეტე ტური
31 ოქტომბერი, კვირა
თბილისი – სიონი
ვიტ ჯორჯია – ლოკომოტივი
ქობულეთი – რუსთავი
ბათუმი –ტორპედო
დილა – სამგურალი
დინამო – ჯოლხეთი

მეთვრამეტე ტური
7 ნოემბერი, კვირა
სიონი – დინამო
ჯოლხეთი – დილა
სამგურალი – ბათუმი
ტორპედო – ქობულეთი
რუსთავი – ვიტ ჯორჯია
ლოკომოტივი – თბილისი

მეცხრამეტე ტური
11 ნოემბერი, ხუთშაბათი
ლოკომოტივი – სიონი
თბილისი – რუსთავი
ვიტ ჯორჯია – ტორპედო
ქობულეთი – სამგურალი
ბათუმი – ჯოლხეთი
დილა – დინამო

მეოცე ტური
20 ნოემბერი, შაბათი
სიონი – დილა
დინამო – ბათუმი
ჯოლხეთი – ქობულეთი
სამგურალი – ვიტ ჯორჯია
ტორპედო – თბილისი
რუსთავი – ლოკომოტივი

ოცდამეერთე ტური
24 ნოემბერი, ოთხშაბათი
რუსთავი – სიონი
ლოკომოტივი – ტორპედო
თბილისი – სამგურალი
ვიტ ჯორჯია – ჯოლხეთი
ქობულეთი – დინამო
ბათუმი – დილა

ოცდამეორე ტური
28 ნოემბერი, კვირა
სიონი – ბათუმი
დილა – ქობულეთი
დინამო – ვიტ ჯორჯია
ჯოლხეთი – თბილისი
სამგურალი – ლოკომოტივი
ტორპედო – რუსთავი

მესამე წრე

ოცდამესამე ტური
5 დეკემბერი, კვირა
დინამო – თბილისი
ტორპედო – სიონი
სამგურალი – რუსთავი
ჯოლხეთი – ლოკომოტივი
დილა – ვიტ ჯორჯია
ბათუმი – ქობულეთი

ოცდამეოთხე ტური
9 დეკემბერი, ხუთშაბათი
სიონი – ქობულეთი
რუსთავი – ჯოლხეთი
ტორპედო – სამგურალი
ვიტ ჯორჯია – ბათუმი
თბილისი – დილა
ლოკომოტივი – დინამო

ოცდამეხუთე ტური
14 დეკემბერი, სამშაბათი
დინამო – რუსთავი
ბათუმი – თბილისი
სამგურალი – სიონი
ჯოლხეთი – ტორპედო
დილა – ლოკომოტივი
ქობულეთი – ვიტ ჯორჯია

ოცდამეექვსე ტური
18 თებერვალი, პარასკევი
ლოკომოტივი – ბათუმი
რუსთავი – დილა
სამგურალი – ჯოლხეთი
სიონი – ვიტ ჯორჯია
თბილისი – ქობულეთი
ტორპედო – დინამო

ოცდამეშვიდე ტური
22 თებერვალი, სამშაბათი
ჯოლხეთი – სიონი
დინამო – სამგურალი
დილა – ტორპედო
ბათუმი – რუსთავი
ქობულეთი – ლოკომოტივი
ვიტ ჯორჯია – თბილისი

ოცდამერვე ტური
26 თებერვალი, შაბათი
სიონი – თბილისი
ლოკომოტივი – ვიტ ჯორჯია
რუსთავი – ქობულეთი
ტორპედო – ბათუმი
სამგურალი – დილა
ჯოლხეთი – დინამო

ოცდამეცხრე ტური
2 მარტი, ოთხშაბათი
დინამო – სიონი
დილა – ჯოლხეთი
ბათუმი – სამგურალი
ქობულეთი – ტორპედო
ვიტ ჯორჯია – რუსთავი
თბილისი – ლოკომოტივი

ოცდამეათე ტური
6 მარტი, კვირა
სიონი – ლოკომოტივი
რუსთავი – თბილისი
ტორპედო – ვიტ ჯორჯია
სამგურალი – ქობულეთი
ჯოლხეთი – ბათუმი
დინამო – დილა

ოცდამეთერთმეტე ტური
12 მარტი, შაბათი
დილა – სიონი
ბათუმი – დინამო
ქობულეთი – ჯოლხეთი
ვიტ ჯორჯია – სამგურალი
თბილისი – ტორპედო
ლოკომოტივი – რუსთავი

ოცდამეთორმეტე ტური
16 მარტი, ოთხშაბათი
სიონი – რუსთავი
ტორპედო – ლოკომოტივი
სამგურალი – თბილისი
ჯოლხეთი – ვიტ ჯორჯია
დინამო – ქობულეთი
დილა – ბათუმი

ოცდამეცამეტე ტური
20 მარტი, კვირა
ბათუმი – სიონი
ქობულეთი – დილა
ვიტ ჯორჯია – დინამო
თბილისი – ჯოლხეთი
ლოკომოტივი – სამგურალი
რუსთავი – ტორპედო

მეოთხე წრე

ოცდამეთოთხმეტე ტური
2 აპრილი, შაბათი
სიონი – ტორპედო
რუსთავი – სამგურალი
ლოკომოტივი – ჯოლხეთი
თბილისი – დინამო
ვიტ ჯორჯია – დილა
ქობულეთი – ბათუმი

ოცდამეთხუთმეტე ტური
10 აპრილი, კვირა
ქობულეთი – სიონი
ბათუმი – ვიტ ჯორჯია
დილა – თბილისი
დინამო – ლოკომოტივი
ჯოლხეთი – რუსთავი
სამგურალი – ტორპედო

ოცდამეთექვსმეტე ტური
16 აპრილი, შაბათი
სიონი – სამგურალი
ტორპედო – ჯოლხეთი
რუსთავი – დინამო
ლოკომოტივი – დილა
თბილისი – ბათუმი
ვიტ ჯორჯია – ქობულეთი

ოცდამეჩვიდმეტე ტური
20 აპრილი, ოთხშაბათი
ვიტ ჯორჯია – სიონი
ქობულეთი – თბილისი
ბათუმი – ლოკომოტივი
დილა – რუსთავი
დინამო – ტორპედო
ჯოლხეთი – სამგურალი

ოცდამეთვრამეტე ტური
24 აპრილი, კვირა
სიონი – ჯოლხეთი
სამგურალი – დინამო
ტორპედო – დილა
რუსთავი – ბათუმი
ლოკომოტივი – ქობულეთი
თბილისი – ვიტ ჯორჯია

ოცდამეცხრამეტე ტური
30 აპრილი, შაბათი
თბილისი – სიონი
ვიტ ჯორჯია – ლოკომოტივი
ქობულეთი – რუსთავი
ბათუმი – ტორპედო
დილა – სამგურალი
დინამო – ჯოლხეთი

მეორმოცე ტური
8 მაისი, კვირა
სიონი – დინამო
ჯოლხეთი – დილა
სამგურალი – ბათუმი
ტორპედო – ქობულეთი
რუსთავი – ვიტ ჯორჯია
ლოკომოტივი – თბილისი

ორმოცდამეერთე ტური
14 მაისი, შაბათი
ლოკომოტივი – სიონი
თბილისი – რუსთავი
ვიტ ჯორჯია – ტორპედო
ქობულეთი – სამგურალი
ბათუმი – ჯოლხეთი
დილა – დინამო

ორმოცდამეორე ტური
18 მაისი, ოთხშაბათი
სიონი – დილა
დინამო – ბათუმი
ჯოლხეთი – ქობულეთი
სამგურალი – ვიტ ჯორჯია
ტორპედო – თბილისი
რუსთავი – ლოკომოტივი

ორმოცდამესამე ტური
22 მაისი, კვირა
რუსთავი – სიონი
ლოკომოტივი – ტორპედო
თბილისი – სამგურალი
ვიტ ჯორჯია – ჯოლხეთი
ქობულეთი – დინამო
ბათუმი – დილა

ორმოცდამეოთხე ტური
30 მაისი, ოთხშაბათი
სიონი – ბათუმი
დილა – ქობულეთი
დინამო – ვიტ ჯორჯია
ჯოლხეთი – თბილისი
სამგურალი – ლოკომოტივი
ტორპედო – რუსთავი

12 თუ 10?

ეროვნული ჩემპიონატი

საქართველოს ფეხბურთის პროფესიონალმა ლიგამ დამდეგი სეზონის კალენდრის პროექტი მოამზადა, რომელიც ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომმა უნდა დაამტკიცოს. მეთექვსმეტე ეროვნული ჩემპიონატი ახალი ფორმატით გაიმართება — თორმეტი გუნდი ოთხ წრედ ითამაშებს და ამიტომაც მეთექვსმეტე ეროვნული უწინდელზე ადრე დაიწყება და გვიან დამთავრდება. თუმცა კალენდრის დამტკიცებამდე ისიც უნდა დამტკიცდეს, თუ რამდენი გუნდი ითამაშებს ჩემპიონატში — 300 000 ლარი ანგარიშზე და მოწესრიგებული მოედანი — თუ კლუბებმა ეს მთავარი პირობები ვერ დააკმაყოფილეს ჩემპიონატის დაწყებამდე ორი კვირით ადრე, ისინი უმაღლეს ლიგაში არ დაიშვებიან.

ჯერჯერობით ყველაზე შავად საქმე „რუსთავს“ აქვს, გაურკვეველია წყალტუბოს „სამგურალის“ საკითხიც. მოკლედ, კალენდრის პროექტში ცვლილებებია მოსალოდნელი. არაა გამორიცხული, რომ უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობა თერთმეტამდე ან ათამდე შემცირდეს — პროფლიგა მკაცრად ითხოვს 300 000 ლარს და ნორმალურ მინდვრებს.

დავით ყიფიანის თასი

1/16, 1/8 და 1/4 ფინალების სათასო დღეები
24 ივლისი, 2 სექტემბერი,
22 სექტემბერი, 19 ოქტომბერი,
3 ნოემბერი, 1 დეკემბერი,
17 დეკემბერი, 14 მარტი

1/2 ფინალი
პირველი მატჩი – 6 აპრილი
საპასუხო – 4 მაისი

ფინალი
26 მაისი

ქართველები ათენში

საქართველოს ოლიმპიელთა გუნდური პორტრეტი კოკოითური ეკეხერიის ფონზე

საქართველოს ოლიმპიური და საერთოდ სპორტის მეთაურობა გუშინდელი აღმასკომის პრეზიდიუმში

ძველ საბერძნეთში, ანტიკური ოლიმპიური თამაშებისას, მის დაწყებამდე ერთი თვით ადრე, თავად ასპარეზობისას და მისი დასრულებიდან ისევ ერთი თვის შემდგომ პერიოდში საღვთო ზავი ცხადდებოდა, რასაც ბერძნები ეკეხერიას უწოდებდნენ. საღვთო ზავის დამრღვევთ მკაცრად სჯიდნენ. თუმცა, ასეთი ფაქტი საუკუნეების განმავლობაში სულ ორჯერ აღინიშნა.

ამ ტრადიციის დაცვას ჩვენს დროშიც ცდილობენ. ამასთან, ქვეყნები იმასაც ლამობენ, ოლიმპიურ თამაშებზე რაც შეიძლება მეტი ჩვენი სპორტსმენი გამოვიდესო. ამასვე ცდილობენ ამა თუ იმ ქვეყანათა ესა თუ ის მხარეები, რომლებიც ოლიმპიელთა სიმრავლეში ერთმანეთს ეჯიბრებიან. მაგრამ ახლა, როცა ათენის ოლიმპიურ თამაშებამდე თვენახევარიც აღარ დარჩა, ცხინვალის თვითმარქვია ლიდერი ედუარდ კოკოითი უკულმა ფიქრობს და იმუქრება, თუ ჩვენი ძალოსანი არსენ კასაბიევი ათენის ოლიმპიურ თამაშებში საქართველოს დელეგაციის სახელით გამოვა, მას ცხინვალში აღარ შემოვუშვებო.

ამის თაობაზე ითქვა გუშინ „შერატონ მეტეხი-პალასში" გამართულ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის სხდომაზე, რომელიც ათენის ბატალიებამდე საბოლოოდ გაიმართა. იქვე სეოკ-ის პრეზიდენტმა ჯანო ბაგრატიონმა კოკოითის პასუხად თქვა: თუ კასაბიევს ცხინვალში არ შეუშვებენ, ბინას თბილისში მივცემთო. მაგრამ, იმედია, შიდა ქართლის გულში კასაბიევთან ერთად მალე ქართველებიც დაბრუნდებიან.

და რაკი კასაბიევის ირგვლივ ასეთი აჟიოტაჟია, ისიც უნდა ვთქვათ, რომ ამ სპორტსმენისგან ათენში მედალს არავინ ელის. მისი „ოქრო-ვერცხლის" ბრჭყვიალზე იქნებ საპეკინოდ ვიფიქროთ. ასე რომ, ათენში კასაბიევის არგამოსვლით პირველ რიგში თავად სპორტსმენი დაზარალდება, მერე შიდა ქართლი და იქაური ოსობა, რომელთათვისაც კასაბიევის პრობლემა ცხინვალში ძალოსნობისა და საერთოდ სპორტის განვითარების სტიმულად ვერ გამოდგება.

რაც შეეხება აღმასკომის სხდომაზე განხილულ საკითხებს, უმთავრესი იყო საუბარი ათენის ოლიმპიური თამაშებისთვის მზადების მიმდინარეობის შესახებ, უფროსი მწვრთნელებისა და სპორტული ფედერაციების მეთაურთა გამოსვლები, აგრეთვე ჩვენი ოლიმპიელობის მთავარი ექიმის, პროფესორ ზურაბ კაბარიშვილის ინფორმაციები.

სხდომაზე გამოსულთაგან უკლებლივ ყველანი მოხსენებას სამადლობელი სიტყვით იწყებდნენ და ამბობდნენ, რომ საოლიმპიადოდ მზადების ასეთი კარგი პირობები საქართველოს დამოუკიდებლობის მერე არ გვქონიაო. არავინ უჩიოდა დაუფინანსებლობას, რაც უპირველეს ყოვლისა ოლიმპიური ფონდის პრეზიდენტის ბადრი პატარკაციშვილის ხელგაშლილობაზე ეკიდა და ჰკიდია კიდეც.

ამასთან, ჩვენი მოჭიდავეების, ძიუდოისტებისა და მოკრივეების უფროსი მწვრთნელები ოპტიმისტურად გამოდიოდნენ და მედლების მოპოვების იმედს იძლეოდნენ. ამბობდნენ, ჩვენზე ზრუნვისთვის მადლობას ათენში მოპოვებული მედლებით გადავიხდითო.

ჰოდა, ჩვენც წიწილებს ამ შემოდგომაზე დავითვლით, მანამდე კი, ამდენი დაიმედების მერე, ერთმა ჩაილაპარაკა კიდეც, ესენი, მგონი, არაოფიციალურ საერთო კომპლექსურ ჩათვლაში გამარჯვებასაც აპირებენო.

ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით იყო ნათქვამი, თორემ ჩვენმა ოცდაათივე სპორტსმენმა ათენში ოქროს მედლებიც რომ მოიპოვოს, ამერიკის შეერთებულ შტატებს მაინც ვერ დავეწევით. მით უმეტეს, ვერც გავუსწრებთ, მაგრამ თუნდაც ერთი ჩემპიონი მაინც წელში გაგვმართავდა, ორი კი, როგორც იტყვიან, მთლად დაგვხატავს.

საქართველოს ოლიმპიურ გუნდში 30 სპორტსმენია. ისინი 9 სახეობის წარმომადგენლები არიან. მათ შორის ვხედავთ იმ სპორტსმენებს, რომლებმაც სხვადასხვა ოლიმპიურ თამაშებში დაიმსახურეს 1 ოქროს, 1 ვერცხლისა და 6 ბრინჯაოს მედალი.

ამას გარდა, ათენის ოლიმპიური თამაშების მომავალ მონაწილეებს სხვადასხვა წლებში და სახეობებში მოპოვებული აქვთ მსოფლიოს ჩემპიონატების 9 ოქროს, 5 ვერცხლისა და 6 ბრინჯაოს მედალი. დელეგაციაში ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის გამოცდილების მქონე სპორტსმენთა რაოდენობა 47 პროცენტია, ხოლო დებიუტანტთაგან ბევრს ახალგაზრდულ მსოფლიოსა და ევროპის პირველობებში საერთო ჯამში შესაბამისად 38 და 13 მედალი მოუპოვებია.

ჩვენმა სპორტსმენებმა ათენის ოლიმპიური ლიცენზიები სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებში მეტად მწვავე ბრძოლებში დაიმსახურეს, მოცურავე ზურაბ ხომასურიძე კი ეგრეთ წოდებული ველური ბარათითაა დაშვებული. ამათ შეიძლება კიდევ ორი-სამი მძლეოსანი და მშვილდოსანი დაემატოს.

ჩვენს ოლიმპიელ ქალთაგან ყველაზე ტიტულოვანნი არიან ნინო სალუქვაძე (ტყვიის სროლა) და რუსუდან ხოფერია (ბატუტზე ხტომა).

ნინო სალუქვაძე სეულის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი და ვერცხლის პრიზიორი, მსოფლიოს სამგზის, ევროპის რვაგზის ჩემპიონი და მსოფლიოს თასის მფლობელია.

ამასთან, ნინო სალუქვაძისთვის ეს თამაშები მეხუთე იქნება და იგი ამ მხრივაც რეკორდსმენად გვევლინება. რუსუდან ხოფერია მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი, აბსოლუტური ჩემპიონი და ევროპის სამგზის ჩემპიონია.

ვაჟთაგან ყველაზე ტიტულოვანნი არიან ელდარ კურტანიძე (თავისუფალი ჭიდაობა), გიორგი ასანიძე (ძალოსნობა) და მუხრან ვახტანგაძე (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა).

ელდარ კურტანიძე არის ატლანტისა და სიდნეის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორი, მსოფლიოს ორგზის და ევროპის მრავალგზის ჩემპიონი.

გიორგი ასანიძე სიდნეის ოლიმპიური თამაშების მესამე პრიზიორი, მსოფლიოს ჩემპიონი და მრავალგზის რეკორდსმენი, აგრეთვე ევროპის მრავალგზის ჩემპიონია.

მუხრან ვახტანგაძეც სიდნეის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს მედლის მფლობელი და მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონია.

ოლიმპიური თამაშების დებიუტანტთაგან ყველაზე ტიტულოვანნი არიან ბერძნულ-რომაულად მოჭიდავეები მანუჩარ კვირკველია და რამაზ ნოზაძე.

მანუჩარ კვირკველია მსოფლიოს ჩემპიონი და ევროპის ჩემპიონატის ორგზის პრიზიორია, ხოლო რამაზ ნოზაძე მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე პრიზიორი, მსოფლიოს თასის მფლობელი და ევროპის ჩემპიონი.

ქართველ ოლიმპიელთაგან ყველაზე ახალგაზრდები 1985 წელს დაბადებული მშვილდოსანი ქრისტინე ესებუა, მოკრივე ნიკოლოზ იზორია და ძიუდოისტი ლაშა გუჯეჯიანი არიან. მათ შორის ყველაზე პატარა მაინც იზორიაა, რომელიც 31 აგვისტოსაა დაბადებული.

იზორია, ამასთან თავისი სიმაღლის მიუხედავად (171 სმ), ნინო ხოფერიასთან ერთად, ყველაზე მსუბუქია — 51კგ.

ჩვენს ოლიმპიელებს თუ სიმაღლის მიხედვით დავაყენებთ, ბოლოში აღმოჩნდებიან ქრისტინე ესებუა და ბერძნულ-რომაულად მოჭიდავე ირაკლი ჭოჭუა (160-160სმ), ხოლო თავში მოექცევა ბერძნულ-რომაულად მოჭიდავე, 194-სანტიმეტრიანი მირიან გიორგაძე, რომელიც ამავე დროს ყველაზე მძიმეა — 120 კგ.

ჩვენი ოლიმპიელებიდან ყველაზე ასაკოვანნი არიან 1969 წელს დაბადებულები ნინო სალუქვაძე და სიდნეის ოლიმპიური თამაშების მესამე პრიზიორი აკაკი ჩაჩუა (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა). პირველი 1 თებერვალს, მეორე კი 16 სექტემბერსაა დაბადებული.

ჩვენს ოლიმპიელებს ათენის ოლიმპიური თამაშების საზეიმო გახსნის ცერემონიალზე, ეტყობა, ხუთშაბათიანი დროშით წარუძღვება მირიან გიორგაძე, თუმცა, უკეთესი იქნება, თუ იგი ათენში ოლიმპიური მედლის მოპოვებითაც გამოირჩევა.

ათენის ოლიმპიურ სოფელში მცხოვრებ ჩვენს ოლიმპიელებს უხელმძღვანელებს საქართველოს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე ლერი ხაბელოვი, რომელიც თავადაც ფრიად სახელოვანი ვეტარანი ოლიმპიელი, ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი და მსოფლიოს 5-გზის ოქროსმედალოსანია.

ამას გარდა, გუშინ ათენის ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოს ოლიმპიური დელეგაციის ხელმძღვანელად და საერთოდ იმ პერიოდში ჩვენი ქვეყნის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლად დამტკიცდა ბადრი პატარკაციშვილი, რომელსაც ეს პოსტი ჯანო ბაგრატიონის ავადმყოფობის გამო გადაულოცეს.

ავთანდილ გურასაშვილი
ბადრი კეთილაძის ფოტოები



უფროსი მწვრთნელები: ბეგი დარჩია (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა) და თენგიზ მესხაძე (კრივი), რომელიც გუშინ საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდებით გაახარეს

საქართველოს მშვილდოსანთა ფედერაციის პრეზიდენტი ქეთევან ლოსაბერიძე და ათენის მომავალი ქართული სახლის დიასახლისი ნანა ალექსანდრია

ჟღენტი და გოგობერიშვილი დინამოდან ანუ ნაკრებიდანაც წამოვიდნენ

გადაწყვეტილი ამბავია — არჩილ ჟღენტი და რამაზ გოგობერიშვილი საქართველოს ნაკრებში აღარ ითამაშებენ. რომ ეთამაშათ, ეროვნული გუნდის ძირითად შემადგენლობაში უნდა მოხვედრილიყვნენ, მაგრამ ვეღარ მოხვდებიან, რადგან გუშინ ნაკრების შეკრება მიატოვეს და მასთან ერთად დრაჟენ ბრაიკოვიჩის „დინამოც“. უფრო სწორად, ჟღენტსა და გოგობერიშვილს ბრაიკოვიჩმა გუშინ „დინამოს“ კარი მიუხურა, მათაც იფიქრეს, კაცს გუნდში არ ვუნდივართ და ნაკრებში რაღას აგვიყვანსო და დიღმის ბაზას გაეცალნენ...

სეზონის წინ დრაჟენ ბრაიკოვიჩი არჩილ ჟღენტს(№4) ქებას არ აკლებდა, გუშინ კი გუნდიდან გაუშვა

— გუშინ „დინამოს“ ხელმძღვანელობა შეიკრიბა და გუნდიდან წამსვლელთა ვინაობა დაასახელა. ჩემთან ერთად ბრაიკოვიჩმა „დინამოდან“ რამაზ გოგობერიშვილი, დავით მუშკუდიანი, ზურაბ ჩუბინიძე და ვანო აბულაძე გაუშვა — გვითხრა არჩილ ჟღენტმა გუშინ — ახლა თავისუფალი ვარ და არ ვიცი, რომელ გუნდში ვითამაშებ, ჯერ არავინ შემხმიანებია.

— რატომ გაგიშვა ბრაიკოვიჩმა, არ უთქვამს? შარშან ხომ მისი ფავორიტი იყავი, სულ შენს ქებაში იყო...

— რა უნდა ეთქვა, გაშვება გადაწყვიტა და ესე იგი, აღარ ვჭირდებოდი. მე რა უნდა მექნა, ავდექი და წამოვედი.

— კონტრაქტი?

— მაგ მხრივ პრობლემა არ ყოფილა. კონტრაქტი სეზონის ბოლომდე მქონდა და აღარ გიგრძელებთო, მითხრეს. დღეს საბოლოოდ წამოვედი დიღმის ბაზიდან.

— საბოლოოდ რატომ, ნაკრებიც იქ ვარჯიშობს, 25 ივნისს ხომ შეკრება დაიწყო?

— რის ნაკრები... ბრაიკოვიჩს „დინამოში“ არ ვუნდივარ და ნაკრებში ამიყვანს? მით უმეტეს, იქ უფრო დიდი კონკურენციაა. შეკრება რომ იწყებოდა, ბრაიკოვიჩმა პირდაპირ გამოგვიცხადა, ლეგიონერთა გარდა ნაკრებში 3 ან 4 ადგილი თუ იქნებაო, დიღმის ბაზაზე კი ნაკრების 15-16 ჩვენს ჩემპიონატში მოთამაშე კანდიდატი ვარჯიშობს. ბრაიკოვიჩის გუნდში ვერ გავუძელი კონკურენციას და მის ნაკრებში შევძლებდი? იგივეს იზამდა, ამ ერთ თვეს მავარჯიშებდა და მერე მეტყოდა, რა ვქნა, ადგილი არ მაქვსო.

— ნაკრები მაინც სხვაა, ეგებ მხოლოდ გუნდში არ უნდოდი...

— თუ ასე ფიქრობდა, მაშინ უნდა დაგვლაპარაკებოდა ადამიანურად — აი, ბიჭებო, ესა და ეს გეგმა მაქვს, „დინამოდან“, მართალია, გაგიშვით, თუმც ეს იმას არ ნიშნავს, რომ ნაკრებში თამაშის შანსი არ გაქვთო. მაგრამ ბრაიკოვიჩმა ასე ალალად საუბარი არ იცის, მე კი ბავშვი არ ვარ, ვერ მივხვდე, რომ ამ კაცს აღარ ვუნდივარ. ჰოდა, გადავწყვიტე, აღარც ნაკრებში ვივარჯიშო. დღეს ვიყავი ბაზაზე, მაგრამ არა იმიტომ, რომ მევარჯიშა — ბიჭებს დავემშვიდობე, ჩემი ჩანთა ავიღე და წამოვედი.

— „დინამოდან“ გამოშვებულთაგან ნაკრების კანდიდატია რამაზ გოგობერიშვილიც...

— აღარც რამაზი ივარჯიშებს ნაკრებში, მე და გოგობერიშვილმა

ფოტო: ალექსანდრე ფარაჯანოვის

სამთვიანი დინამოელობის პერიოდში რამაზ გოგობერიშვილმა თასის მოგება მოასწრო

საბოლოოდ გადავწყვიტეთ, ბრაიკოვიჩის ნაკრებში არ ვივარჯიშოთ. ამას, როგორც გითხარი, აზრი არ აქვს, რადგან ვიცი, არ ვუნდივარ. იგივე აზრისაა გოგობერიშვილიც.

— ვინც ჩამოთვალე, მხოლოდ ეგენი წამოხვედით „დინამოდან“?

— ჰო, ჯერჯერობით ესენი ვართ, მაგრამ მგონია, რომ აღარავის გაუშვებენ... თუმც ყველაფერია მოსალოდნელი.

ირაკლი პერტაია

პატარა ბურთის ჯადოქარი

ჯერ ფულს იშოვის, მერე ქალებს

დუაიტ ჰოვარდზეა ნათქვამი, ბურთით ხელში დაიბადაო. ტელევიზორის ცქერისას და ტელეფონზე ლაპარაკისასაც კი ბურთი უჭირავს, ვარჯისისას ხომ 1000-ჯერაც ისვრის და თან დრიბლინგს ამუშავებს. ასე რომ არ მოქცეულიყო და ბურთისთვის ძმობა არ შეეფიცა, დრაფტზე პირველ ნომრად არავინ აირჩევდა. ახლახან კი, 24 ივნისს, დრაფტის საღამოს, ორლანდოელი გახდა და „ჯადოქრებსაც“ ეიმედებათ, ბურთის „ჯადოქარი“ შეგვემატაო...

— როგორი იყო პირველი ვარჯიში „ორლანდოსთან“, ცოტა ხომ არ დაიღალე? სკოლის გუნდში ალბათ ბევრად იოლი ვარჯიშები გქონდა...

— პირველმა ვარჯიშმა მართლაც კარგად ჩაიარა. სულაც არ ყოფილა დამღლელი, აქამდეც არანაკლები დატვირთვით ვვარჯიშობდი. თუმც სტილი მაინც განსხვავებულია და ორლანდოელებს სურთ, რაც შეიძლება, მალე გავშინაურდე. მათ იციან ჩემი შესაძლებლობები... კარგად ვისვრი, ვაფარებ, ვხსნი. მე უკვე თითქმის დავუმტკიცე ორლანდოელებს, რომ უმიზნობას არ ვუჩივი. არ მინდა, ლიგაში ისე მივიდე, სიზუსტე მღალატობდეს. ამიტომაც ყოველ საღამოს 1000-ჯერ ვისვრი ჩემი ეზოს ფარში.

— როგორ ჩაიარა გუნდის ხელმძღვანელობასთან შეხვედრამ, რაზე ილაპარაკეთ?

— პირველ რიგში მათ აინტერესებდათ, თუ რას ვუმიზნებ. ორლანდოელებს ვუთხარი, რომ ჩემთვის უმთავრესია, ვიყო საუკეთესო. გარდა ამისა, ვისაუბრეთ ჩემს გატაცებებზე.

— იმაზე რას იტყვი, რომ შესაძლოა, ტრეისი მაკგრეიდიმ დატოვოს „ორლანდო“?

— ძალიან გამიკვირდა, თუმც ტრეისიმ უკეთ იცის თავისი საქმე. ის პროფესიონალია და მხოლოდ წარმატებას ვუსურვებ.

— და თუ თიმექი წავიდა, შენ ვეღარ ითამაშებ მის გვერდით. როგორც ვიცი, შენ ეს გულით გინდოდათ...

— ეს თითქმის არაფერს ცვლის. მე ისედაც კმაყოფილი ვარ, „ორლანდოში“ რომ ვითამაშებ. კი მინდოდა, თიმექის გუნდში მეთამაშა, მაგრამ რას ვიზამ, მან წასვლა ამჯობინა.

— „ორლანდოს“ ახლა უჭირს და იმედებს შენზე ამყარებს. რას ფიქრობ, შეძლებ გუნდის წუმპიდან ამოთრევას?

— შევძლებ, თუ გუნდის ხელმძღვანელობა გვერდში დამიდგება და თავის გასაკეთებელს გააკეთებს.

— რატომ აგიყვანა დრაფტზე პირველ ნომრად „ორლანდომ“ შენ და არა ემეკა ოკაფორი?

— ალბათ იმიტომ, რომ მე ძალიან ბევრი რამ ვუჩვენე ორლანდოელებს. მე ყველაფერი შევასრულე წინასადრაფტო ვარჯიშებზე, რაც „ორლანდოს“ მწვრთნელებმა დამავალეს. არჩევანი მათი იყო და მე ამიყვანეს, მათ ისიც იცოდნენ, რომ ბევრი რამ მქონდა ჩემს „ჰაი სქულში“ გაკეთებული. გასულ სეზონში ბლომად ქულები და მოხსნები ვაგროვე, ხოლო რაც მართლაც ბევრი დამიგროვდა, დაფარებებია — დაახლოებით 800.

— კობი, გარნეტი, თიმექი — ესენიც შენსავით სკოლიდან მოვიდნენ ნბა-ში. შენც შეძლებ მათსავით სუპერვარსკვლავობას?

— მე მზად ვარ ამისთვის. ჩემი სკოლის გუნდი ძალიან ძლიერი იყო და სწორედ კონკურენცია დამეხმარა კლასის, ბრძოლისუნარიანობის ამაღლებაში. ახლა კი მართლა ვარსკვლავებში უნდა ვითამაშო და ვფიქრობ, ჩემს სიტყვას დღეს თუ ხვალ აუცილებლად ვიტყვი.

— თუ გილაპარაკია იმათთან, ვინც სკოლიდან პირდაპირ ნბა-ში მოვიდა?

— არა, ლებრონ ჯეიმსთან და ამარე სტუდემაიერთან არ მილაპარაკია, მაგრამ სხვა გამოცდილ ბიჭებს შევხვდი, რომლებმაც მითხრეს, სულის ამოსვლამდე იმუშავე საკუთარ თავზეო. მე ვუყურე ფილმებს ისეთ ბიჭებზე, რომელთა ბედიც ძალიან ჰგავს ტიმ დანკანისას და კევინ გარნეტისას. არის ისეთი რაღაცეები, რისი დაცვაც აუცილებელია კალათბურთშიც და ნებისმიერ სხვა საქმეშიც. მეც ასე ვცხოვრობ, ვცდილობ, პროფესიონალი ვიყო და ალბათ ვარ კიდევაც.

— დრაფტის პირველი ნომრობა ცუდად ხომ არ იმოქმედებს შენზე, დაახლოებით ისე, როგორც კვეიმ ბრაუნზე იმოქმედა?

— ვფიქრობ, არ მელის ცუდი მომავალი. რაც მთავარია, იმას ვაკეთებ, რაც მომეთხოვება. კვეიმ ბრაუნმა კი უცებ ნაშოვნ ფულს დაუწყო ხარჯვა და კალათბურთი ცოტა გადაავიწყდა. მან იყიდა მანქანები და მთელი კვარტლის გოგოებს თავის თამაშებზე ეპატიჟებოდა. მე ვიცი, რა არის კარგი და რა ცუდი. გოგოები და მანქანები სად გაიქცევა, ჯერ ჩემი მონდომებით გავხდები სოლიდური მოთამაშე, მერე კი გართობაზეც ვიზრუნებ.

— ვიცით, რომ სულ ბურთი გიკავია ხელში, მაგრამ თავისუფალი დროც გექნება...

— ტელევიზორის ყურებისასაც ბურთს ვათამაშებ, ტელეფონზე ლაპარაკის დროსაც. აი, „პლეისტეიშენს“ რომ ვუზივარ, ბურთს სავარძელში ვდებ-ხოლმე, თუმც იქაც კალათბურთს ვთამაშობ, ოღონდ ჯოისტიკით.



დრაფტის პირველი რჩეული დუაიტ ჰოვარდი ბურთით იძინებს და იღვიძებს

უიმბლდონი 2004

ლონდონი. ბალახი. საპრიზო 9 707 280 გირვანქა სტერლინგი

ქალები
მეოთხე ნრე

სერენა უილიამსი (1, აშშ) — **ტატიანა გოლოვინი** (საფრანგეთი) 6:2, 6:1; **ამელი მორესმო** (4, საფრანგეთი) — **სილვია ფარინა ელია** (14, იტალია) 7:5, 6:3; **ჯენიფერ კაპრიატი** (7, აშშ) — **ნადია პეტროვა** (10, რუსეთი) 6:4, 6:4; **პაოლა სუარესი** (9, არგენტინა) — **რიტა გრანდე** (იტალია) 4:6, 6:0, 6:2

მეოთხედფინალი

ლინდსი დევენპორტი (5, აშშ) — **კაროლინა შპრემი** (ხორვატია) 6:2, 6:2; **მარია შარაპოვა** (13, რუსეთი) — **აი სუგიამა** (11, იაპონია) 5:7, 7:5, 6:1

წლეულს სატურნირო ამბები ისე წაეწყო, 1999 წლის ჩემპიონ ლინდსი დევენპორტზე მაინცდამაინც ბევრის კი არა, თითქმის ვერაფრის თქმა ვერ მოგვიხერხდა. არადა, საქმეს ისეთი პირი უჩანს, სამგზის სლემტიტულოსანი 28 წლის ამერიკელისთვის ეს შეიძლება უკანასკნელი უიმბლდონობა გამოდგეს.

ბოლო წლებში ლინდსიმ ბლომად იტრავმინა, ამას კორტზე უილიამსდათა მოძალებაც დაერთო და ნიჭიერმა გოგომ 2000 წლის ავსტრალიის ღია პირველობის შემდეგ ერთი სლემტიტულის შოვნაც ვეღარ შეძლო. მარშან კი ის სულაც გათხოვდა და როგორც ჩანს, ახლა მზისგულზე ოჯახისდგრასა და ჩოგნის ქნევას ოჯახში ტრიალი ურჩევნია. რაღა ბევრი გავაგრძელოთ, წინა თამბის ერთი უსახელოვნესი ქალმეჩოგნე უკვე დიდი კორტიდან წასვლაზე დაფიქრებულა.

„ცხადია, ჩოგბურთი ჯერაც ძალიან მიყვარს და ჩემთვის მას დღემდე უდიდესი მნიშვნელობა აქვს — ამბობს ლინდსი — მაგრამ ველარც იმას უარვყოფ, რომ ოჯახი და სხვა ამბები ჩემთვის უფრო პრიორიტეტული გახდა.“

„კვირიდან კვირამდე კორტზე დროის ტარება სულ უფრო მიჭირს. განსაკუთრებით ხელს მიშლის ძველი ტრავმები, ხოლო როცა ისედაც უხალისოდ ვარ, კორტზე გასვლა ჩემთვის საერთოდაც აუტანელი ხდება.“

„გადაჭრით ჯერ არაფერი გადაწყვეტია, მაგრამ უკვე 28 წლის ვარ და ჩემი თავის წარმოდგენა მომდევნო ტურნირებზე სულ უფრო მიძნელდება.“

თუმცა ამ უიმბლდონზე ლინდსი მართლაც საუცხოოდ გამოიყურება და მეტოქეებს კვლავ ისევე დამაჯერებლად ნაყავს, როგორც მისთვის საზეო, ხუთიწლისწინანდელ ტურნირზე, რომლის ფინალშიც მან მაშინ უკვე წარმავალ შტეფი გრაფს აჯობა.

ნახევარფინალში გასასვლელად კი ლინდსიმ დაუბრკოლებრივ ჩაურბინა ნიჭიერ ხორვატ მეჩოგნე კაროლინა შპრემს, ვინაც — ეგებ თქვენც გახსოვდეთ — მეორე წრეში თვით ვინუს უილიამსი მოჩანთა.

დღეს კი ვეტერან ამერიკელს 17 წლის რუს მარია შარაპოვასთან მოუწევს — ვინ იცის — ეგებ კარიერის უკანასკნელ საუიმბლდონო მატჩში რკენა.

მაშა წლევანდელი ტურნირის უმთავრესი სამთავარსათაურო თემაა და ორიოდ სიტყვით მის შესახებ ჩვენც გესაუბრეთ. იქვე ისიც ვთქვით, რომ ქეროსან-მომხიბვლელობის მიუხედავად, ამ გოგოს თავის სექსთვისტომ ანა კურნიკოვასგან უკვე სამი სადაბლიუეიტიო ტიტული აშორებს და ამიტომ მათ შორის პარალელების გავლება აღარ ეგების. ეგ მით უფრო, რომ საკუთრივ საჩოგნაო თვალსაზრისით უპირატესობის გარდა, ნორჩ მაშა კურნიკოვას უკვე კენარობითაც და რამე-რუმეობითაც აღემატება.

თუმცა სექსანასთან პარალელის გავლება აქ მაინც აუცილებელია — 1997 წელს, როცა კურნიკოვა უიმბლდონობის ნახევარფინალში (პირველად და უკანასკნელად) გავიდა, ისიც სწორედ 17 წლისა იყო.

იმედია, ამ ორი რუსი ქალის ბიოგრაფიათა პარალელობა სწორედ აქ შეწყდება და მაშაზე, როგორც (სექსანასთან შედარებით) გაცილებით უფრო საინტერესო და შინაარსიან საჩოგბურთო ფენომენზე მოგვიწევს წერა.

ახლა კი ორიოდ სიტყვით იმ დღეს შემდგარ სამეოთხეწრეო შეხლებზეც.

ორგზის ტიტულდამცველმა სერენა უილიამსმა, როგორც მოსალოდნელი იყო, 16 წლის გაფრანგებული რუსგოგო ტატიანა გოლოვინი მოაშთო. ამ მატჩში უმცროსმა უილიამსმა, ბევრ ბოდიშ-ბოდიშ-ბოდიშ-

იარაღის ამოღების თაობაზე

ფეხბურთი ყველაფერს გადასწონის. ზიან ბრაზილიის წვეროსანი პრეზიდენტი ლუის ინასიო ლულა და სილვა და ბრაზილოვანთა ფეხბურთის შეფი რიკარდო ტეიშეირა და ჰაიტში გასამართ საქველმოქმედო მატჩის საჭიროებაზე მსჯელობენ. ამ მატჩზე დასასწრები ბილეთების ყიდვა თურმე იარაღით შეიძლება. იარაღი კი ამ ომიან ქვეყანაში თურმე 6-7 წლის ბიჭებს სათამაშოებად აქვთ.

REUTERS ბრაზილიიდან

REUTERS ფილადელფიიდან

ბიჭი და ბეისბოლი

წავა ეს ბიჭი და ამხანაგებში იტრაბახებს, უმძლავრესად გატყორცნილი ბურთი ჩემი ქუდით ტრიბუნაზე დავიჭირეო. ფილადელფიაში ხდება ეს საბეისბოლო ამბავი.

ჯაზი არა კომუნიზმი

მილიარდნახევრიანმა ჩინეთმა შობადობა შეაჩერა და ეკონომიკა და მისთანები დაძრა, მაგრამ დასავლეთთან ინტეგრაციის მიუხედავად ჯერ ვერ გაფანტა ძველი, უსიამოვნო აურა. საყვირი თავისთავად არაა ცუდი ინსტრუმენტი და მაილზ დევისს სიამოვნებითაც მოუსმენდა კაცი, მაგრამ ამ ჩინელებს სამშობლოსადმი და ბელადებისადმი იმგვარი რწმენით ჩაუბღუჯავთ, რომ გინდა, არ გინდა, ჩვენი ყოფილი საერთო და უწმინდური წითელი სამშობლო გაგახსენდება.
ეს ბიჭები ქალაქ გუანჯოუს მკვიდრნი არიან და გვაუწყებენ, 2011 წლის აზიის თამაშებს ჩვენ ვუმასპინძლებთო.

REUTERS გუანჯოუდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, ირმა ჯიშკარიანი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge